პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 290 (12204) | სამშაბათი, 26 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე

იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება და გაძლიერება შეადგენს პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით უმნიშვნელოვანეს პირობას.

სკკპ XXII ყრილობის რეზოლუციიდან.

25 დეკემბერს კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე.

თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. შელეპინს როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ მ ა. მან თქვა, რომ სრულიად საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მოიწვია პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რათა განიხილოს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და პარტიის ახალი პროგრამიდან გამომდინარე ამოცანები იდეოლოგიის დარგში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს 1.300 კაცი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიდან და ცენტრალურ დაწესებულებათა დაახლოებით 1.400 მუშაკი. აქ წარმოდგენილია, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, იდეოლოგიურ მუშაკთა მრავალათასიანი არმიის ყველა რაზმი — მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც იდეოლოგიურ საკითხებზე მუშაობენ, პროპაგანდისა და აგიტაციის, მეცნიერების, კულტურის განყოფილებათა გამგეები, ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელები, ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა რედაქტორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რადიოსა და ტელევიზიის, უმაღლესი და საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, როგორი პროპაგანდისტები და აგიტატორები.

ასეთი დიდი და წარმომადგენლობითი თათბირი იდეოლოგიურ საკითხებზე პირველად არის მოწვეული. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თათბირს და უსურვებს წარმატებით მუშაობას.

მოსსენებისათვის — სკკპ XXII ყრილობა და პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები — სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. თ. ი ლ ი ჩ ო ვ ს.

თავისი მოსსენების დასაწყისში ამხ. ილიჩოვი აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიო პოლიტიკური ატმოსფერო, მთელი თანამედროვე პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის იდეებით, ეს იდეები ყოველისშემძლეა, იმიტომ რომ სწორია და გამოხატავენ ასეულ მილიონობით შრომის ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს და ღირსეულად აგვირგვინებენ რევოლუციური ბრძოლის დიად გზას „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამამდე, რომელსაც ზუსტად და სამართლიანად ეწოდა თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი.

ამხ. ილიჩოვის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ XXII ყრილობამ, რომელმაც პარტიის მესამე პროგრამა მიიღო, დასაბამი მისცა საზოგადოებრივი პროგრესის ახალ ეტაპს — კომუნიზმის პრინციპების უშუალოდ განხორციელებისათვის ბრძოლის ეტაპს. საბჭოთა კავშირი ახლა შევიდა განვითარების ახალ ხანაში და ეს უდიდეს ცვლილებათა დაღს ასვამს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის — იდეოლოგიურსაც. ამ სფეროს მუშაკების წინაშე დგას გაცილებით მაღალი მოთხოვნები, ვიდრე იდგა ოდესმე წინათ. მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხები უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმიანობის ცენტრში.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეძღვნა პარტიის ლენინური კურსის, მისი გენერალური ხაზის გამარჯვებას, რომელიც XX ყრილობამ განსაზღვრა, სადაც პარტიამ უარყო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის და ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ბუნებისათვის უცხო სტალინის პიროვნების კულტი, დაადგა პიროვნების კულტის ნაშთების დაძლევის გადამწყვეტ კურსს. მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა და აქტიურად დაუჭირა მხარი პარტიის ლენინურ პოლიტიკას. XX ყრილობის პოლიტიკური ხაზის სისწორე თვით ცხოვრებამ დაადასტურა. ის ფაქტი, ამბობს ამხ. ილიჩოვი, რომ პარტიამ საქმით განახორციელა თავისი დიდი ხნის განზრახვა და შეაჩერა ახალი პროგრამა, ადასტურებს მისი პოლიტიკური კურსის სიცხოველეს და ძალას. შეუძლებელი იქნებოდა შეგვეშუშავებინა ახალი პროგრამა, რომელიც თანაბარზომა საზოგადოებრივ-მეცნიერული აზროვნების უმაღლეს მიღწევას გამოხატავს, რომ არ ყოფილიყო მოპოვებული ახლადდგი წარმატებანი ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში, სრული მოცულობით რომ არ ყოფილიყო აღდგენილი და განვითარებული ლენინური სტილი, ლენინური მიდგომა ახალი საზოგადოების შემშენებლობის ლენინური თეორიისა და პრაქტიკისადმი. პარტიის საქმიანობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, გახდა პრაქტიკისა და თეორიის ნამდვილი ერთიანობა, მილიონების გამოცდილების დაფასების უნარი.

პიროვნების კულტს, აღნიშნავს ამხ. ილიჩოვი, მავნე შედეგები ჰქონდა და უარყოფით როლს ასრულებდა პარტიის ცხოვრებაში. მაგრამ პიროვნების კულტის ვითარებამიც კი პარტია მოქმედებდა როგორც ცოცხალი შემოქმედებითი ორგანიზმი. ვერავითარი პიროვნების კულტი ვერ შეაჩერებდა საბჭოთა საზოგადოების წინსვლითს განვითარებას, ვერ შეცვლიდა სოციალისტური წყობილების ბუნებას, რომლის გადამწყვეტი, მამოძრავებელი ძალა ყოველთვის იყო, არის და იქნება მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები. ვერავითარი პიროვნების კულტი ვერ შეცვლიდა რევოლუციური მსოფლმხედველობის არსს, ვერ შეარყევდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და თეორიულ საფუძველს, პარტიისა, რომელიც შექმნა და რევოლუციური სულისკვეთებით აღზარდა დიდმა ლენინმა.

ამხ. ილიჩოვი შემდეგ ამბობს, რომ საჭიროა აღსდგეს და განვითარდეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ლენინური პრინციპები. ეს პრინციპები ნიშნავს: მაღალ კომუნისტურ იდეურობას, მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას, თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ერთიანობას, რევოლუციური თეორიის შემოქმედებითს გამოყენებასა და განვითარებას, უნარს ფართო მასების პოლიტიკური განათლება, მარქსისტულ-ლენინური წრთობა გააერთიანონ მათ ორგანიზაციასთან საარსებო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელად.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია სკკპ პროგრამის ღრმად განმარტება, რომ XXII ყრილობის მასალების განმარტება პარტიის მთელი იდეური ცხოვრების საფუძველია. იდეოლოგიური მუშაობა აყვანილი უნდა იქნეს თანამედროვე ეტაპის დონეზე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებაში, სავსებით უნდა შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ პერიოდს, მასების გაზრდილ სულიერ, იდეურ მოთხოვნილებებს. იდეოლოგიური მუშაობა აყვანილ უნდა იქნეს პრაქტიკული გეგმების დონემდე, რომლებსაც პარტია და ხალხი ახორციელებენ, მან იდეოლოგიურად უნდა უზრუნველყოს კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანების წარმატებით განხორციელება.

თავისი მოხსენების ვრცელ ნაწილში ამხ. ილიჩოვმა ცხადყო იდეოლოგიური მუშაობის დიდი როლი კომუნიზმის მშენებლობის ერთიანი ამოცანის გადაჭრაში, რომელიც XXII ყრილობამ წამოაყენა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირება და ახალი ადამიანის აღზრდა. ყველა ეს ამოცანა, აღნიშნავს მომხსენებელი, ურთიერთ დაკავშირებულია და ერთმანეთს განაპირობებს.

შემდეგ ამხ. ილიჩოვი საფუძვლიანად შეეხო კომუნიზმისათვის იქტიურ და მამაც მებრძოლთა აღზრდის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მთავარი ყურადღება მიექცეს და გამოიყოს სამი მიმართულება პირველი, მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; მეორე, ხალხთა მასების აღზრდა კომუნისტური მორალის სულისკვეთებით; მესამე, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ამოცანის გადაჭრისას პარტია მოუწოდებს იდეოლოგიურ მუშაკებს არა თავდაცვისათვის, არამედ შეტევისათვის იდეოლოგიურ ფრონტზე.

ლ. თ. ილიჩოვი შემდეგ ამბობს, რომ საჭიროა გავაქტიუროთ და სრულვყოთ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. პარტიამ შეიმუშავა მასებზე იდეური გავლენის, მათი კომუნისტური აღზრდის მწყობრი სისტემა და ეფექტიანი საშუალებანი. პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საფუძველია მასების პოლიტიკური განათლება. ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ პარტიის თეორიას, პოლიტიკას და ისტორიას ორგანიზებულად სწავლობდა ხუთი-ექვსი მილიონი კაცი. ახლა ოც მილიონზე მეტი კაცი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, მათ შორის ნახევარზე მეტი უპარტიოა. მთავარი პოლიტიკურ განათლებაში ის არის, რომ კვლავაც განვახორციელოთ მტკიცე კურსი, რათა განვამტკიცოთ პოლიტიკური სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, გავაფართოოთ პოლიტიკური განათლების ჩარჩოები და ავამაღლოთ მისი ქმედითობა, განვავითაროთ სწავლების შემოქმედებითი, დამოუკიდებელი და, უწინარეს ყოვლისა, სემინარული ფორმები.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას, უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს პრესის საქმიანობაში, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრესის ამოცანაა მთელი ძალით, მთელი თავისი ტალანტით, უნარით, პარტიული მგზნებარებით ხალხთან ერთად იბრძოლოს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ლიტერატურისა და ხელოვნების მზარდ როლს კომუნისტური მსოფლმხედველობისა და მორალის ჩამოყალიბებაში. ისინი მოწოდებული არიან კომუნისტური აღზრდის ამოცანა გადაჭრან თავიანთი სპეციფიკური საშუალებებით, გაიტაცონ ადამიანი მხატვრული სახეების სიმართლითა და სიღრმეზით, გაუღვიძონ მას სურვილი არა მარტო იცხოვროს უკეთესად, არამედ იყოს უკეთესი.

XXII ყრილობამ პარტიისა და ხალხის წინაშე დააყენა ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები, ამბობს დასასრულ ლ. თ. ილიჩოვი. მათი გადაჭრა უდიდეს შრომასა და ენერგიას, მაქსიმუმ დისციპლინას, ორგანიზებულობასა და შეგნებულობას მოითხოვს. ჩვენ, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, უნდა ვიყოთ პარტიის მოთხოვნათა დონეზე, კარგად ვხედავდეთ მომავალს და უნდა შეგვეძლოს ვუპასუხოთ ცხოვრების ყოველდღიურ კითხვებზე, უნარიანად და სერიოზულად ვაწარმოოთ იდეური მუშაობა მასებში, შევიტანოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

26 დეკემბერს თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება დღეს, 26 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სათოხნი სისჯემა სიუხვის წყარო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უნდა აიღონ ახალი ზღუდეები, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას პროდუქტების სიუხვე და ნედლეული მრეწველობისათვის.

პარტია, საბჭოთა მთავრობა ახლა გადამწყვეტ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ პროგრამით გათვალისწინებული დიდმნიშვნელოვანი მიზანდასახულობანი განუხრელად შესრულდეს. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ისე ვერ მოხერხდება, თუ ჩვენს ხელთ არსებული გამოუყენებელი რეზერვებს არ ავამოქმედებთ, თუ პრაქტიკაში ფართოდ არ დავნერგავთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს და შუქურების გამოცდილებას. ახლა მთავარია რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა, ავამაღლოთ მოწათმოქმედების კულტურა, მიწედან მივიღოთ იმის მაქსიმუმი, რაც მას შეუძლია მოგვცეს.

მაგრამ მოწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების გზაზე ნათესბალახიანი სისტემა მუხრუჭი გახდა. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამას წინათ რსფსრ არაშავნიადაგიანი ზონის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ამბობდა: „რატომ არის, რომ პარტია ახლა ასალი ძალით აყენებს მეცნიერთა ყურადღებას, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა ყურადღებას, რომ საბრძოლოდ გადაბრით მოვუღოთ გოლო მიწათმოქმედების ნათესბალახიან სისტემას? საქმე ის არის, რომ ნათესბალახიანი სისტემა მუხრუჭი გახდა სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელებაში. ნათესბალახიანი სისტემის ფესვები არ ამოგვიძირკვავს და ეს სისტემა კვლავ იძლევა თავის მავნე ამონაყარს“.

ნათესბალახიანმა სისტემამ დიდი ზიანი მიაყენა რსფსრ არაშავნიადაგიანი ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მაგრამ დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშია საქმე კარგად. ნათესბალახიან სისტემას ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ფართო გავრცელება არ ჰქონია, მაგრამ ზოგიერთი რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა უყურადღებობით ეს სისტემა ისე თუ ისე მაინც ბოგონობდა, რამაც საკმაო ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ახალი მონაცემებით მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს 75.064 ჰექტარი ანუ მთლიანი ნათესი ფართობის 13,2 პროცენტი უჭირავს, მათ შორის მრავალწლიან ბალახებს — 31.755 ჰექტარი. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებშიც არანაკლები ფართობები უჭირავს ნათეს ბალახებს. აი ფაქტები: ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს უჭირავს 38.617 ჰექტარი, მათ შორის მრავალწლიან ბალახებს — 17.931 ჰექტარი, ხოლო ერთწლიან ბალახებს — 20.686 ჰექტარი.

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ საგრძნობი ფართობის სახარგებლო სახნავი მიწა დაკავებულია ბალახის ნათესით, რომელიც არცთუ დიდ სარგებლიანობას იძლევა. ამ ფართობის თუნდაც ნახევარზე რომ დაგვეთესა სიმინდი და პარკოსანი კულტურები, გაცილებით მეტ სარგებლობას ნახავდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ნათესბალახიანი სისტემა შედარებით უფრო გავრცელებულია ახალქალაქისა და წითელწყაროს რაიონებში. ახალქალაქის რაიონში ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს უჭირავს 24.151 ჰექტარი, ანუ მთელი ნათესი ფართობის 44,3 პროცენტი, ხოლო წითელწყაროს რაიონში — 7.242 ჰექტარი, ანუ ნათესი ფართობის 12,1 პროცენტი. როგორც ვხედავთ, მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს ამ რაიონებში და განსაკუთრებით ახალქალაქის რაიონში ჯერ კიდევ დიდი ფართობები აქვს დაკავებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბალახები დათესილია ისეთ მიწაზე, რომლებზეც სამინდი ან ბარდა რომ დათესილიყო, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა ხუთჯერ და ათჯერ მეტ შემოსავალს მიიღებდა.

ახალქალაქის, წითელწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონების ხელმძღვანელთა ვალია უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, ბრძოლა გამოუცხადონ ნათესბალახიან სისტემას და მიწის გონივრული გამოყენებით უფრო გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, საკუთარი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა სადღეისო ამოცანაა გადაჭრით დაგმონ ნათესბალახიანი სისტემა და ფართოდ დანერგონ სათოხნის სისტემა. ამასთან მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების მიზნით ფართოდ უნდა დაინერგოს ბარდის, ცულისპირას და სხვა პარკოსანი კულტურების თესვა. როგორც ცნობილია, ეს კულტურები მიწაში დიდი რაოდენობით ტოვებენ აზოტს და იძლევიან დიდძალ საკვებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, პირველ რიგში კი მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დიდი უურადღება უნდა დაუთმონ სათოხნი სისტემის დანერგვას, რესპუბლიკის რაიონების ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით დაამუშაონ და პრაქტიკული რჩევა-დარიგება მისცენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ამ სისტემის განხორციელებისათვის.

როგორც ვხედავთ, მიწათმოქმედების ნათესბალახიანმა სისტემამ არ გაამართლა მის მომხრეთა იმედი. დღეს მხოლოდ სათოხნ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა, იგი სიუხვის წყაროა.

ი. გაღაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგების დაცვისა და გაუმჯობესების, მიწათსარგებლობისა და მიწის ფონდების სახელმწიფო აღრიცხვის სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

ჯიათურა. (საკ. კორ.). აქაური მიწა შედარებით მწირია, მაგრამ თუ მას საგულდაგულოდ დაამუშავებ, მზრუნველობით მოუვლი, უყრძნის, სიმინდის თუ ჩაის უხვ მოსავალს მიიღებ.

აქ არიან გამრჯე და შრომისმოყვარე კოლმეურნეები, რომლებმაც მაღალი მოსავალი მიიღეს და შუქურებად ითვლებიან. ასეთები არიან სოფელ ქვაცოხის მევეხახე კოლმეურნე დ. ცხოვრებაძე და სოფელ ზოდის კოლმეურნეობის მეკიბინდე ალ. აბაშიძე. პირველმა ჰექტარი ვენახიდან 112 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო მეორემ — 47 ცენტნერი სიმინდი.

ამ დღეებში ამ კოლმეურნეობებში შეიქმნა მოწინავეთა გამოცდილების სკოლები, რომლებსაც დ. ცხოვრებაძე და ა. აბაშიშე ხელმძღვანელობენ. სკოლებში გაერთიანებულია ასამდე კოლმეურნე.

ახალციხე. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების, მეცნიერების მიღწევების გავრცელებისა და დანერგვის მიზნით ახალციხის რაიონში ამას წინათ შეიქმნა შუქურების 4 სკოლა, რომლებშიც გაერთიანებული არიან რაიონის საუკეთესო მეხილეები, მეცხოველეები, მეკარტოფილეები და მესიმინდეები.

ამ დღეებში გამართულ პირველ მეცადინეობაზე 400-ზე მეტი მოწინავე ადამიანი შეიკრიბა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გაიმართა სსრკ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომა, რომელაც გადაწყვიტა 28 დეკემბერს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში მოაწყოს კავშირის გამგეობის პლენუმი: პლენუმის დღის წესრიგში იქნება ერთი საკითხი: „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და საბჭოთა ჟურნალისტების ამოცანები“.

სამდივნომ დაამტკიცა, ჟურნალისტთა საქალაქო, საოლქო, საოკრუგო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, კონფერენციებისა და ყრილობების მოწყობის ვადები და წესი და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობის 1962 წლის გეგმა. (საკდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ XXXIII ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲝᲠᲨ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXXIII კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში იყო საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში და თბილისის კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და საქართველოს ალკკ XXIV ყრილობის დელეგატების არჩევა.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ჩიკვაიძემ.

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კალანდაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბერაძემ, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ჩიქოვანმა, ძველმა ბოლშევიკმა გ. ჩიგოგიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. ქავთარაძემ, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიძემ და სხვებმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხ. ი. რთველიაშვილმა.

კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს ალკკ XXIV ყრილობის დელეგატები.

გაიმართა საქართველოს ალკკ ახლად არჩეული თბილისის კომიტეტის პლენუმი. თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ა. ჩიკვაიძე, მეორე მდივნად — ამხ. ს. ხაბეიშვილი, მდივნებად— ამხანაგები ც. ქორჩაშვილი და ნ. პეტრიაშვილი. (საქდესი).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სარატოვი, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ასტრახანის, ვოლგოგრადის, სარატოვის, კუიბიშევის, ულიანოვსკის, პენზის ოლქებისა და თათარეთის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები შეიკრიბნენ, რათა ერთად განიხილონ ვოლგისპირეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები, დასახონ პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების ღონისძიებანი.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ი. ვორონოვმა.**

მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ს. პოლიანსკიმ.**



თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად და განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩაება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დასაჩქარებლად გაშლილ შრომითს ლაშქრობაში. ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ამ ლაშქრობაში უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებანი, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს 1961 წლის საწარმოო დავალებები.

* * *

სურათზე: ამწყობი უბნის ელექტროზეინკლები, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, დები მაყვალა (მარცხნივ) და ციალა მარტიაშვილები, რომლებმაც მიმდინარე წლის დავალებები გადაჭარბებით გაანაღდეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის ამას წინათ გაიმართა ორდღიანი თათბირ-სემინარი. თათბირ-სემინარზე მონაწილეობა მიიღეს პარტიის რაიკომების მდივნებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. გ. გოგობიას მოხსენება სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებისა და აფხაზეთის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები შესახებ.

ინტერესით იქნა მოსმენილი სკკპ XXII ყრილობის დელეგატის ამხ. მ. ჩიქოვანის გამოსვლა. მან ვოცლად ილაპარაკა პარტიის ისტორიული ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებზე.

თათბირ-სემინარზე ლექციებ-მოხსენებები გამოვიდნენ დოცენტები ვ. ბეხიძე და შ. ზალდასტანიშვილი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ა. ეხუქიძე, ა. ოვსეპიანი, ლ. ვერისოვა, ა. თოდუა, ს. გალდავა, ი. წოვრიკაძე.

სემინარის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარემ ვ. ლაკოიამ, სასწავლო მეურნეობა „ეშერის“ დირექტორმა შ. ჯალაღონიამ, გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარემ, სკკპ XXII ყრილობის დელეგატმა დ. ერქვანიამ, ოდანავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. მინოსიანმა.

სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს სასწავლო მეურნეობა „ეშერა“ და სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ესტონეთა“.

ცხინვალი. (საკ. კორ.). ორ დღეს გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა საოლქო თათბირ-სემინარი, რომელსაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა და მოწინავე კოლმეურნეთა გარდა ესწრებოდნენ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირ-სემინარზე პარტიის XXII ყრილობის შედეგებისა და სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი ამხ. ვ. გაზაევი.

თათბირ-სემინარზე სოფლის მეურნეობის ცალკეული აქტუალური საკითხების ირგვლივ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ზ. ოქროპირიძემ, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის დოცენტებმა ვ. ჩხიკვაძემ და ნ. გოცირიძემ.

სამინდის მექანიზებული წესით თესვის, აგრეთვე ნათესების დამუშავების შესახებ თათბირზე ვრცლად ილაპარაკა თამარაშენის სახელმწიფ

შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა!

ტექ ჰროგრამა

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ის ამოცანა, რომ სსრ კავშირის მრეწველობა გადავაქციოთ ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილ და მძლავრ მრეწველობად მსოფლიოში, მოითხოვს მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ამ საფუძველზე ტექნიკურად ხელახლა აღჭურვება სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, რომელიც მოხმარების საგნებს უშვებს, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, აგრეთვე ის დარგები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ადამიანთა ყოფაცხოვრებას: ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო და კომუნალური მეურნეობა.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მეცადინეობაზე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში

მთავარი ამოცანა

ნ. კიზივაძის —
სემინარის ხელმძღვანელის ლექციიდან.

პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს უახლოეს 20 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ნათელი შენობის აგებას, მოსახლეობის ცხოვრების ისეთი მაღალი დონის მიღწევას, როცა საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. სხვანაირად რომ ვთქვათ, 20 წელიწადში ჩვენ ძირითადად ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას.

რას ნიშნავს ძირითადად ავაშენოთ კომუნიზმი? როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში ამბობდა, ეს ნიშნავს, რომ „ეკონომიურ დარგში შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბჭოთა კავშირი გადაეკარებეს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიურ დონეს და დაიკავებს პირველ ადგილს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება ხალხის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე მსოფლიოში და შეიქმნება პირობები მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვის მისაღწევად“. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ახლა პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანაა, მისი გენერალური ხაზის საფუძველია.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მძიმე ინდუსტრიას, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველს. წარმოების საშუალებათა წარმოება ოც წელიწადში 7-ჯერ გაიზრდება. პარტიის პროგრამა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის უდიდეს განვითარებას, მრეწველობაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას. მანქანათსამშენებლო და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა 1980 წელს გამოუშვებს 11-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე დღეს უშვებს. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს წარმოების ტექნოლოგიისა და კულტურის, მისი ორგანიზაციის ახალ დონეზე გადასვლას, კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების პროცესების სულ უფრო მეტად განვითარებას, ამ საფუძველზე მიღწეული იქნება მსოფლიოში შრომის უდიდესი ნაყოფიერება, რაც საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი ამჟამად დიდ წარმატებას აღწევს შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში. შვიდწლიანი გეგმის შესრულებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

თუ რა სწრაფად იზრდება და ვითარდება საბჭოთა კავშირში მრეწველობა, ეს ჩვენი ქარხნის ზრდა-განვითარების მაგალითადაც ნათლად ჩანს. ჩვენს ქარხანაში, რომელიც საქართველოში სოციალისტური მანქანათმშენებლობის პირმშოა, წლითიწლობით იზრდება პროდუქციის მოცულობა, მაღლდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება მუშაობის მაჩვენებლები.

გასულ 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ქარხანამ გამოუშვა 36 პროცენტით მეტი საერთო პროდუქცია, 8 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. უკანასკნელ სამ წელიწადში უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის ახალი მოდელის დამზადებაზე გადასვლის შემდეგ ქარხანამ 783 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მიიღო.

მიმდინარე წელს ჩვენ ავითვისეთ სპეციალური ჩარხების 10 ახალი მოდელი, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია „163“ მოდელის ათობით უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი.

ქარხნის კოლექტივის თავდადებული შრომის მეოხებით პერიოდულობის მილის ქარხანას უკვე გაეგზავნა პარტია ახალი დოლური ჩარხებისა, რომლებიც განკუთვნილია შავი მეტალურგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი ობიექტისათვის.

მიღწეული საწარმოო წარმატებანი გვაფალებენ კიდევ უკეთესად, კიდევ უფრო ბეჯითად ვიმუშაოთ, დავრაზმოთ ძალები და ცოდნა, გამოვიყენოთ მთელი ზოგიერთ საამქროში, მაგალითად, სამეჯდლო, გალვანურ-შემდუღებელ, № 11 ამწყობ და სარემონტო-სამშენებლო საამქროებში ამ მოძრაობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

საერთოდ შვიდწლედის სამი წლის მანძილზე ქარხნის კოლექტივმა საამაყო მაჩვენებლები მოიპოვა. გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სსსაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა, გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 861 ათასი მანეთის პროდუქცია, ათობით სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი. წელს ჩვენ მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების იმ დონეს, რაც შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1963 წლისათვის. ჩვენი ქარხნის შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩარხების წარმოების გაზრდას 1,8-ჯერ. ჩვენ ამას ვადამდე შევასრულებთ.

* * *

შემდეგ სემინარის ხელმძღვანელი მსმენელებს ესაუბრა ტექნიკური პროგრესის დანერგვის, მოწყობილობის გამოყენების, ნედლეულის ეკონომიის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, აგრეთვე კადრების მომზადების საკითხებზე და აღნიშნა, რომ თვითეულ ამ საკითხის უნარიანად მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის გადაწყვეტისათვის.

შეჯიბრებაში ჩვენ გავიმარჯვებთ

ი. გერშკოვიჩის —
ქარხნის მთავარი მექანიკოსის გამოსვლიდან.

ყველა საბჭოთა ადამიანს გვახალისებს და მუშაობაში ძალღონეს გვმატებს პარტიის ახალ პროგრამაში ჩაწერილი სიტყვები: საბჭოთა ადამიანების დღევანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

ჩვენ გვჯერა ამ სიტყვების, გვჯერა, რომ გათვალისწინებული 20 წელი სავსებით საკმარისია სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნელად. აბა მოიგონეთ, სულ 10-12 წლის წინათ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის 30 პროცენტზე ნაკლებს. ახლა კი ვაწარმოებთ 60 პროცენტზე მეტს. ამჟამად სსრ კავშირმა უკვე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს რკინის მადნისა და ქვანახშირის ამოღების, კოქსის, ახაწყობი რკინა-ბეტონის, სამაგისტრალო თბომავლებისა და ელმავლების, დახერხილი ხე-ტყის, შალის ქსოვილების, შაქრის, ერბო-კარაქის, თევზის და ზოგიერთი სხვა პროდუქტებისა და ნაკეთობის წარმოების მხრივ. ახლა ჩვენი ქვეყანა აწარმოებს მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეხუთედს, — უფრო მეტს, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, იაპონია, ბელგია და ნიდერლანდი.

ამჟამად ცალკე მოქმედ საწარმოთა ეფექტიანობისათვის ძირითადად აღებულია კუთხი არა ახალი ქარხნების მშენებლობაზე, არამედ არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციაზე, მათი მოწყობილობის განახლებასა და მოდერნიზაციაზე. მოდერნიზაციის დროს უმჯობესდება ჩარხების საექსპლოატაციო თვისებები, იზრდება მათი სიმძლავრე და სიჩქარე.

ავიღოთ ჩვენი ქარხნის ზოგიერთი მონაცემები და აღვნიშნოთ ჩვენი წვლილი, რაც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში შეგვაქვს.

1956-1961 წლებში ქარხანა შეიტანა 370 ლითონსაჭრელი ჩარხით. ქარხანა მნიშვნელოვნად აღიჭურვა ელექტრობიდური ამწეებითა და ამწე კოჭებით. მაგალითად, 1956 წელს ასეთი ამწეები 19 ერთეული იყო, 1961 კი 50 ერთეული გვაქვს.

სამჭედლო საამქროში დამატებით დადგმულია ორი 2-ტონიანი სატვიფრავი ურო, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვედიდებინა ნატვიფრის გამოშვება.

ერთი ლითონსაჭრელი ჩარხის საშუალო სიმძლავრე 1956 წლის 11,5 კილოვატიდან გაიზარდა 13,2 კილოვატამდე 1961 წელს. ამასთან შემცირდა ელექტროენერგიის ფაქტიური ხვედრითი ხარჯი.

ზემოადნიშნულის შედეგად ქარხნის სასაქონლო პროდუქცია 1961 წელს 1959 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. 1959 წელს ერთმა მუშამ საშუალოდ წლის განმავლობაში 3.974 მანეთის პროდუქცია გამოიმუშავა, 1961 წელს კი 4.205 მანეთისა, რაც შეესაბამება იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია 1963 წლისათვის.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს. ამას წინათ აქ გაიმართა მორიგი მეცადინეობა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარისა, რომელსაც ქარხნის დირექტორი ნ. კიზივაძე ხელმძღვანელობს. სემინარში მეცადინეობა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლება მათ ხელს უწყობს საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

სემინარის ხელმძღვანელმა ნ. კიზივაძემ ამ მეცადინეობაზე წაიკითხა შესავალი ლექცია თემაზე: „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარი ეკონომიური ამოცანაა“. ლექციაში განხილულ საკითხებსა და დებულებებზე გაიმართა აზრთა ცხოველი ურთიერთგაზიარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სემინარის მსმენელებმა.

ამ გვერდზე წარმოდგენილია სემინარის მოკლე ანგარიში.

სურათზე: სემინარის მეცადინეობაზე.

ცოდნა, გულმოდგინეგა

ი. ზოიხეტის —
ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების ინჟინრის გამოსვლიდან.

მე მინდა შევეხო ტექნიკური ნორმირების საკითხს და მის როლს საწარმოო საქმიანობაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანის განხორციელებაში. იმისათვის, რომ თუნდაც დაახლოებით წარმოვიდგინოთ ტექნიკური ნორმების როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საჭიროა განვსაზღვროთ ტექნიკური ნორმირების არსი. შრომის ტექნიკური ნორმირება ნიშნავს, რომ განსაზღვრული ოპერაციისათვის, დეტალის, კვანძის, მთლიანად მანქანის ან ჩარხის დამზადებისათვის ნორმა მთლიანად აღებული უნდა იყოს ტექნიკურად ზუსტად დასაბუთებული.

რა მდგომარეობაა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მხრივ ჩვენს ქარხანაში? სერიული ჩარხის „მ-163“-ის წარმოებაზე ყველა მოქმედი ნორმის 60,3 პროცენტს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები შეადგენს.

სპეციალური ჩარხების ინდივიდუალური და წვრილსერიული წარმოების პირობებში იმ მოდელებზე, რომლებიც ხშირად მეორდება, შევიმუშავეთ ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები, ამასთან ვიყენებთ გამსხვილებულ საერთო-სამანქანათმშენებლო ნორმატივებს. უკეთ რომ წარმოვიდგინოთ ჩვენს ქარხანაში ტექნიკური ნორმირების საკითხი, თუნდაც გაკვრით უნდა მოვიხსენოთ ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს განხორციელდა ხელფასის მოსაწესრიგებლად.

ჩვენს ქარხანაში 1959 წლის ბოლომდე ძირითადად მოქმედებდა დროს საცდელ-სტატისტიკური ნორმები, რომლებიც ხშირად სტიმულს არ იძლეოდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ნარდად მომუშავე მუშების სატარიფო ქსელი მოძველებული იყო, დროის ნორმების გამომუშავების მიხედვით ძნელი იყო მსჯელობა შრომის ნაყოფიერებაზე.

მუშათა საერთო ხელფასში ტარიფის წილი ხშირად 30-35 პროცენტს შეადგენდა. 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით შრომის ანაზღაურების ახალ პირობებში ტარიფის ხვედრითი წონა ნარდად მომუშავე მუშის ხელფასში 70-75 პროცენტს უნდა შეადგენდეს. ჩვენს ქარხანაში ეს ციფრი დღეისათვის რამდენადმე უფრო დაბალია. რა გვიშლის ხელს იმაში, რომ მივაღწიოთ უფრო მაღალ მაჩვენებლებს შრომის ორგანიზაციაში და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების შემდგომ დანერგვაში?

საჭიროა ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესება ბევრ ოპერაციაზე, პროცესების უფრო ფართო მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საჭიროა მიგაღწიოთ რიტმულობას. აქ უნდა მოვიხსენიოთ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, რომელიც ხშირად დაბალი ხარისხის სხმულს გვაწვდის. ეს საკითხი პრესაშიც იყო გაშუქებული, და ხორციელდება სათანადო ღონისძიებანი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდება.

სასურველია უკეთესი ნორმირება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და კოოპერირებულ მიწოდებათა გაუმჯობესება.

განა შესაწყნარებელია, რომ ხარკოვის ქარხანა „ელექტროსტანკოიდან“ ვპრ-10 პაკეტური ამომრთველების მისაღებად საჭირო ხდება სპეციალური კაცის თვითმფრინავით გაგზავნა და ამომრთველების ჩემოდნით ჩამოტანა, როგორც ეს ამას წინათ მოხდა. დღეისათვის ამ მხრივ კიდევ უარესი მდგომარეობაა. ვგზავნით დეპეშებს, საჩივრებს უკრაინის სახალხო მეურნეობის საბჭოში, ცენტრალურ კომიტეტში, და მაინც „მ-163“ ჩარხების გამოშვების ჩაშლის საფრთხეში ვართ.

შესაძლოა საჭირო იყოს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ გადასინჯოს ქარხანა „ელექტროგამშვებს“, პლასტმასების ქარხნისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს შესაძლებლობანი და მოაწყოს „ეპ“ ტიპის გადამრთველების, ჯვარედი გადამრთველების და სხვა ისეთი აპარატურის გამოშვება, რომელიც მწვავედ გვესაჭიროება და რომლის ათვისება კაპიტალურ დაბანდებებს არ მოითხოვს.

უდიდესი პერსპექტივები

ვ. კოლოსოვსკის —
ქარხნის მთავარი ტექნოლოგის გამოსვლიდან.

მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო და რომელმაც მთელი სიცხადით განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზები.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენენება ჩვენი მრეწველობის ტექნიკურ აღჭურვას, ახალი ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირის ჩარხმშენებლები, მათ შორის თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ქვნის სხვადასხვა უნივერსალური და სპეციალური ჩარხების სულ ახალ და ახალ კონსტრუქციებს.

ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ჩარხების კონსტრუქციების სრულყოფის საქმეში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ შექმნილი კონსტრუქციები საესებით შეეესაბამება თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს.

გათვალისწინებულია თბილისის კიროვის სახელობის ქარხანა გადაიქცეს მილგამოსაყვანი ჩარხების სპეციალიზებულ წარმოებად. ამ ამოცანის განსახორციელებლად ჩვენს ქარხანაში უკვე შეიქმნა ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და შენდება მძიმე ჩარხების კორპუსი, რომელიც 70 პროცენტით გაადიდებს ქარხნის არსებულ საწარმოო ფართობს.

ახლახან შექმნილი ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას სპეციალური ჩარხების ახალი კონსტრუქციების შესაქმნელად და ამ საქმეს ახმარს მთელ თავის გამოცდილებას, ცოდნას, ითვალისწინებს თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს, აღწევს ავტომატიზაციის მაღალ დონეს.

უკვე 1963 წელს ქარხანამ უნდა დაამზადოს რამდენიმე ავტომატური ხაზი მომძე აზერბაიჯანის მეტალურგიული ქარხნისათვის.

სპეციალური ჩარხების წარმოებაში უდიდესი პერსპექტივებია. სპეციალური ჩარხების პროგრესული კონსტრუქციები, რომლებიც კიროვის სახელობის ქარხანაში იქმნება, განსაზღვრავენ ახალ ტექნიკას ჩვენი ქვეყნის ბევრ ქარხანაში, ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი გამსჭვალულია მაღალი წარმადობის ჩარხების შექმნაში თავისი მოვალეობის შეგნებით და თავის წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

კადრების გადამწყვეტი ძალაა

მ. ისაკიანის —
ტექნიკური სწავლების განყოფილების უფროსის გამოსვლიდან.

ჩვენს ქარხანაში მისი არსებობის პირველ წლებში მუშაობდა ბევრი მოწვეული სპეციალისტი, როგორც სხვა რესპუბლიკებიდან, ისე უცხოელები — ჩეხები, ავსტრიელები, უნგრელები, გერმანელები და სხვ., რადგან ჩვენს რესპუბლიკას ჩარხმშენებელთა საკუთარი კადრები არა ჰყავდა.

თანდათანობით დაიწყო ქარხნის შევსება ადგილობრივი კადრებით, ძირითადად სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ჩვენ გვყავს გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკოსებისა და კვალიფიციური მუშების მძლავრი კოლექტივი, რომელსაც უნარი შესწევს შექმნას და გამოუშვას ურთულესი ჩარხები. ისიც სათქმელია, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს წინათ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდათ. ისინი სწავლობდნენ ცხოვრებისაგან მოწყვეტით და არ ჰქონდათ მუშაობის პრაქტიკული ჩვევები, საკმაოდ არ იცნობდნენ წარმოებას, პირველ ხანებში თითქმის არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ახლა ეს ნაკლი სწორდება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის საფუძველზე.

უკვე მესამე წელია, რაც ჩვენს ქარხანაში საწარმოო სწავლებას გადიან ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის მე-10 მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 საშუალო სკოლების IX, X და XI კლასების მოსწავლეები. უნდა ითქვას, რომ მოსწავლეები მონდომებას იჩენენ და ინტერესით ეუფლებიან ხარატის, ზეინკლის პროფესიას, ამასთან პროფესიების ათვისების პროცესში ისინი მცირე სარგებლობას რიდი აძლევენ წარმოებასაც. რაც შეეხება XI კლასებს მოსწავლეებს, რომლებიც უშუალოდ ქარხნის საამქროებში მუშაობენ. სამუშაო ადგილებზე, ისინი ქარხნის მიერ ვეგმის შესრულების აქტიური მონაწილენი არიან, რადგან აწყობენ ჩარხების კვანძებს, ამუშავებენ დეტალებს. სკოლის რიდ დამთავრებენ, ისინი საკმაოდ კარგი ხელოსნები იქნებიან. ბევრ მათგანს შეეძლება მიღებულ პროფესიაზე საწარმოოში მუშაობა შეათავსოს უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ და საღამოს ფაკულტეტებზე სწავლასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რა ყოველდღიურად ზრუნავენ პარტია და მთავრობა სპეციალისტებისა და მუშათა კადრების მოძზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რადგან კადრების სწორ და კარგ შერჩევაზე, კადრების მაღალ კვალიფიკაციაზე და მათს სწორ გამოყენებაზე დამოკიდებულია საქმის მთელი წარმატება.

ეს რა დაგვრჩა უყურადღებოდ

ი. იარალოვის —
ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსის გამოსვლიდან.

უეჭველია, ჩვენს ქარხანაში ბევრი რამ გაკეთდა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში, რაც ნათლად ჩანს გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან.

ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ნაკეთობათა შრომატევადობა, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

მაგრამ მე მომაჩნია, რომ ამ ღონისძიებებს, უმთავრესად მექანიზაციის დარგში, უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ ვწყვეტდით არა წარმოების ყველა რგოლის სამუშაოთა საერთო კომპლექსში, არამედ ყურადღებას ვაქცევდით ძირითად წარმოებას. კომუნიკაციები, ე. ი. ის ძაფები, რომლებიც წარმოებას კვებავენ, ყურადღების გარეთ დაგვრჩა და ტექნიკურად არ იყო აღჭურვილი. ისეთი პროცესები, როგორიც არის, მანქანებიდან მძიმე ტვირთების გადმოტვირთვა, მათი დატვირთვა, აგრეთვე საწყობებში დაწყობა, აბსოლუტურად არ არის მექანიზებული.

ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ, ყურადღება ახლა მაინც მივაქციოთ დამხმარე სამსახურებს და 1962 წლის განმავლობაში განვახორციელოთ დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

* * *

დასასრულ სემინარის ხელმძღვანელმა შეაჯამა მეცადინეობა, განმარტა ცალკეული ამხანაგების მიერ არაზუსტად გამოთქმული აზრები და მსმენელებს მიუთითა თემის ღრმად შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურაზე.

გონიერი ავტომაჯები

გ. ბენდუქიძის —
ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინრის გამოსვლიდან.

ჩემამდე გამოსულმა ამხანაგებმა ცხადყვეს ჩვენი ქარხნის მიერ ჩარხების გამოშვების ზრდა და ცვლილებანი ქარხნის აღჭურვილობისა და ჩარხების წარმოების ტექნოლოგიაში. მე მინდა ვილაპარაკო იმ ამხანაგებზე, რომლებიც ქმნიან ჩვენი ქარხნის სპეციალური ჩარხების კონსტრუქციებს, და იმაზე, თუ რას წარმოადგენენ ეს ჩარხები.

ჩვენმა ქარხანამ ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება დაიწყო 1936 წელს იმ ნახაზების მიხედვით, რომლებიც გადმოგვცა ოდესის ლენინის სახელობის ქარხანამ. უკვე ერთი წლის შემდეგ ქარხანა დაადგა საკუთარი კონსტრუქციების ჩარხების შექმნის გზას, მაგრამ კონსტრუქტორთა რაოდენობა ათიოდეკაცით განსაზღვრებოდა. ამასთან ქარხნის მიერ გამოშვებული პირველი ჩარხები კონსტრუქციით არართული, გაბარიტებითა და წონით პატარები იყო.

გასული წლები კონსტრუქტორთა რაოდენობის განუწყვეტელი ზრდის წლები იყო. რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი კვალიფიკაციაც. მძლავრ სამამულო მანქანათმშენებლობას ვეღარ აკმაყოფილებდა მარტივი ჩარხები, სულ უფრო მეტი რაოდენობით საჭირო ხდებოდა ავტომატები და ნახევრადავტომატები, რომლებსაც შეეძლებოდა ჩამდგარიყვნენ საკადრო და ავტომატურ ხაზებში, და ქარხნის კონსტრუქტორები მხარდამხარ მიჰყვებოდნენ მზარდ ინდუსტრიას. მათ იწყეს რთული ჰიდრავლიკური მოწყობილობითა და ელექტრომოწყობილობით აღჭურვილი ჩარხების, ნახევრადავტომატების და ავტომატების დაპროექტება. გასულ წლებში ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებამ შექმნა 200-ზე მეტი კონსტრუქციის ჩარხები, რომლებიც შემდეგ ქარხანამ აითვისა.

სპეციალური ჩარხმშენებლობის განვითარებისათვის ქარხანასთან შეიქმნა ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელშიც ამჟამად 114 კაცი მუშაობს. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიან ახალ კონსტრუქციებს მრეწველობის შეკვეთით. ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის მეტ წილს შეადგენს ახალგაზრდობა, რომელიც ქარხანასთან ერთად გაზრდილი გამოცდილი კონსტრუქტორების მხარდამხარ მუშაობს.

ნავთობზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კომუნისტური საზოგადოების აშენების მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროს ხდის, რომ რაც შეიძლება მალე ათვისებულ იქნას ბურღვა უფრო მეტ სიღრმეზე, ვიდრე დღემდე იყო მიღწეული. ამ მიზნით საჭიროა დიდი რაოდენობით გვქონდეს თერმულად დამუშავებული, მეტად მაგარი საბურღავი მილები და მათი შეერთებანი. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კონსტრუქტორებმა მიიღეს სერიოზული დავალება დააპროექტონ უბნები ავტომატური ნაკადური ზაზისა საბურღავი მილების შედუღებული შესაერთებელი ბოლოების საწარმოებლად აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის საყალიბო საამქროსათვის, რომელიც ამჟამად შენდება.

უკვე ჩაბარებულია სამუშაო ნახაზები მილების ნამზადებად დასაჭრელი უბნისა შესაერთებელი ბოლოების შემდგომ დასატვიფრავად. ეს სამუშაო შესრულებულია ამხ. ი. ფალკოვიჩის განყოფილებაში. დამთავრების სტადიაშია სამუშაო პროექტი შავად სახარატო დამუშავების უბნისა, რომლის დაპროექტება ხდება ვ. ბობროს განყოფილებაში. იმავე სტადიაშია საბოლოო გაჩარხვისა და ,,ეუთხვილის ჭრის უბანი, რომელიც შექმნილია ბ. აბესაძის განყოფილებაში.

მთელი მოწყობილობა უბნებისა, რომელიც შეიცავს რთული ჩარხების, ავტომატებისა და ნახევრადავტომატების მთელ გამას, მოწყობილობას ჩარხების დამაკავშირებელი დეტალების ტრანსპორტირებისათვის და სხვ., მთლიანად და სავსებით დაპროექტებულია ჩარხმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში.

მე დავასახელე იმის მხოლოდ ნაწილი, რასაც ჩვენი კონსტრუქტორები აპროექტებენ. სამუშაოთა სრულ აღნუსხვას ძალიან ბევრი დრო დასჭირდებოდა, შეგვეძლო დაგვეასახელებინა აგრეთვე დოლური ტიპის ჩარხები და სახარატო ჩარხი, რომელსაც პროგრამული მართვა აქვს, აგრეთვე ორშპინდელიანი ჩარხები და ბევრი რამ სხვა, რომლებიც სამამულო მანქანათმშენებლობისათვის იქმნება.

წინ კიდევ უფრო სერიოზული ამოცანები გვაქვს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მილების შეერთების დასამუშავებელი ჩარხებისა და ხაზების შექმნის ამოცანა. ჩვენ ხომ განზრახული გვაქვს გამოვიყენოთ მიწის ღრმა წიაღი — ვბურღოთ მიწის ქერქი მთელ სიღრმეზე. ამისათვის კი საჭირო იქნება უდიდესი სიმაგრის მილები და მათი დასამუშავებელი ჩარხები. უეჭველია, ჩვენი კონსტრუქტორების გაზრდილ კოლექტივს ძალუძს თავი გაართვას ამ ახალ ამოცანებს და თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

საქართველოს კომუნისტი

№ 2 გვერდი. სამშაბათი, 26 დეკემბერი, 1961 წ.

სსრ კავშირში ორი ათწლეულის მანძილზე შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანა, მისი გენერალური ხაზის საფუძველი.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე

პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა საფუძველზე შეუდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, პირველ პლანზე დგება ახალი ადამიანის — მომავლის ადამიანის ფორმირებისა და აღზრდის საკითხი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის, მომხვეჭელობის, თვალსაზრისის, დამნაშავეობის, სოციალისტური მართლწესრიგის სხვა დარღვევათა წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლის საკითხებს.

როგორია ახალი ამოცანები თანამედროვეობის ამ მოთხოვნათა მიხედვით, როგორ მოვაწყოთ უკეთ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო გამოვლინებათა წინააღმდეგ? ეს საკითხები განიხილა პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების მუშაკთა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

მოხსენება რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში განუხრელად მცირდება დანაშაულებრივ გამოვლინებათა რიცხვი. ეს გასაგებია. კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც მასობრივ დანაშაულობას გარდუვალად წარმოშობს თვით ექსპლოატაციური საზოგადოების ბუნება, ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდა, კულტურული განვითარება და შეგნებულობის ამაღლება ქმნის დამნაშავეობის აღმოფხვრის ყველა პირობას.

მიმდინარე წლის ათი თვის მანძილზე რესპუბლიკაში დამნაშავეობის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ბოლო დროს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო დანაშაულებრივ გამოვლინებათა შემცირებას. რამდენადმე შემცირდა ძარცვის, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის რიცხვი. მიმდინარე წლის ათ თვეში ასეთი შემთხვევები 28,5 პროცენტით ნაკლები, იყო ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში. მნიშვნელოვნად შემცირდა განზრახ მკვლელობის და მკვლელობის ხელყოფის, სხეულის მძიმე დაზიანების ფაქტები, მაგრამ დანაშაულთა საერთო რიცხვი რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია. ადამიანთა აღზრდის, მათ შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, რომლებმაც ესოდენ დიდი ადგილი დაიკავეს სკკპ პროგრამაში, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოთხოვნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მეტ ყურადღებას. მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლი, რაც ხელს უშლის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციას და ამცირებს ამ ბრძოლის ეფექტიანობას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ყოველგვარი დანაშაულის ლიკვიდაციაში საზოგადოებრივობის მონაწილეობის გაძლიერების საკითხებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ამბობს იგი, ჯერ კიდევ სუსტად გვეხმარებიან ამ საქმეში. დამაკმაყოფილებელი არ არის ხელმძღვანელობა სახალხო რაზმებისადმი, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა ადამიანის აღზრდის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს.

კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას წარსულის მანკიერი გადმონაშთებისაგან თავისუფალი ახალი ადამიანის აღსაზრდელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ე. ტაკაძემ აღნიშნა, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლი ის არის, რომ პროკურატურისა და მოკელვეის ორგანოები ჯეროვნად ვერ აფასებენ საზოგადოებრივობის როლს ჩვენი საზოგადოების მანკიერი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და არ იყენებენ ამ მუშაობაში საზოგადოებრივობის მონაწილეობის ყველა ფორმას.

— თუ არ იქნა საზოგადოებრივობის მონაწილეობა, — ამბობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის სამმართველოს უფროსი გ. შელია, — თუ არ იქნა მისი აქტიური დახმარება, მარტო მილიციის მუშაკები ვერ დაიცავენ წესრიგს, ვერ აღკვეთავენ დანაშაულს. სახალხო რაზმები, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის ყველა რაიონში, მილიციის მუშაკთა პირველი და საუკეთესო თანაშემწეები არიან. მაგრამ სახალხო პატრულების საქმიანობა კიდევ უფრო უფრო უნდა გაქტიურდეს. მათ უფრო გაბედულად უნდა აღკვეთონ დანაშაულობანი, ჩაიბან ამ მოძრაობაში მშრომელთა ფართო მასები.

აფხაზეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ღვინჯილია ამბობს, რომ სამართალდარღვევის მნიშვნელოვან რიცხვს სჩადიან ის პირები, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და პარაზიტულად ცხოვრობენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად ასეთი პირები გაფრთხილების შემდეგ, რომ საჭიროა შრომითი მოწყობა, იწყებენ მუშაობას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამიტომ მათი ჩაბმა სასარგებლო შრომაში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რომლის გადაჭრაში მთავარი როლი ეკუთვნის სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებს.

— საქალაქო და რაიონული პროკურატურები, სახალხო სასამართლოები და მილიციის განყოფილებები, — აღნიშნა აჭარის სსრ პროკურორმა გ. გოგიტიძემ, — ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შრომელთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს. ხშირად ამ მუშაობას ფორმალურად ეკიდებიან, გულდასმით არ ამოწმებენ საჩივრებში, მოყვანილ ფაქტებს. ეს კი იწვევს განმცხადებელთა სამართლიან საყვედურს, რომელთაგან ბევრი ჩვენ მოგვმართავს თავისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

— ხულიგნობის საქმეების შესწავლა, — ამბობს ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე კ. ძუკაევი, — გვიჩვენებს, რომ ამ დანაშაულობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩადენილია ქუჩებში, ბაღებში, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. მაგრამ საზოგადოებრივობა იშვიათად იღებს ზომებს ხულიგნური საქციელის აღსაკვეთად, მისი გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებლად, ყოველგვარი ხულიგნობის ლიკვიდაციაში საზოგადოებრივობის ჩაბმა მილიციისა და პროკურატურის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა.

— დანაშაულობათა დიდი უმრავლესობაზ, — თქვა ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილემ ვ. ხმალაძემ, — მოდის ავტომანქანების ავარიაზე. გამოძიება გვიჩვენებს, რომ ავარიაში მოყოლილი ავტომანქანების მძღოლთა 80 პროცენტი მთვრალი იყო. ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ საგზაო ავარიების ლიკვიდაციისათვის. ამის მიღწევა კი შეიძლება ლოთობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის, ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევთა სასტიკად დასჯის გზით.

საბჭოთა ადამიანების აღზრდის გაუმჯობესების, მათ შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის, ყოველგვარი დანაშაულობის ან საბჭოთა კანონიერების დარღვევის ლიკვიდაციის საკითხების შესახებ ილაპარაკეს თათბირზე ქალაქ ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ კ. ობიიძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა, ზუგდიდის რაიონის პროკურორმა ს. კაჭარავამ, ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ი. დავარაშვილმა, ქალაქ რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. გაბუნიამ, სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებელო სამმართველოს პროკურორმა გ. გოლსტმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. მ. სირაძემ.

— ბოლოდროინდელ ლონისძიებებზე, — თქვა ამხ. სირაძემ, — ამის საჭიროება, რომ დაენერგოთ პატიოსანი ცხოვრებისადმი, ეიბრძოლოთ სამართალდარღვევის აღმოფხვრისათვის, გამოვიყენოთ ამ საქმეში საზოგადოებრივი ზეგავლენის ძალა და კანონის ძალაც, განსაკუთრებით ხაზგასმულია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში. ამ გადაწყვეტილებებში უნდა ვეძიოთ მოცემულ ეტაპზე მთავარი მიმართულება ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, ყოველდღიურ ბრძოლაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებს ჯერ კიდევ ხელი არ აუღიათ სოციალისტური კანონიერების დაცვის თვიანთი ფუნქციების ზერელედ განხორციელების პოზიციაზე.

— ახლა, — აღნიშნა დასასრულ ამხ. სირაძემ, — უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლის მუშაობა, გავაუმჯობესოთ თითოეული მუშაკის საქმიანობის ფორმები და მეთოდები, გადაჭრით აღკვეთოთ და სასტიკად დავსაჯოთ არაკეთილსინდისიერებისა და მდგმარეობის ბოროტად გამოყენების ყოველი გამოვლინება. მთელი მუშაობა პარტიულ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და სამსახურებრივი — განუყოფლად უნდა დავუქვემდებაროთ მშრომელთა ინტერესების ფხიზლად დაცვას, ულმობელ ბრძოლას ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, ყოველი საბჭოთა ადამიანის აღზრდას შეგნებულობისა და ჩვენი საერთო საქმისადმი პატიოსანი სამსახურის სულისკვეთებით. ეს ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პირობაა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში. (საქდესი).

მოსკოვი—ანტარქტიკა

23 დეკემბერს ღამით მოსკოვში მოვიდა ცნობა, რომ თვითმფრინავები „ილ-18“ და „ან-10“ სატვირთო ვარიანტით, რომლებსაც მართავენ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პოლარული ავიაციის მფრინავები ა. პოლიაკოვი და ბ. ოსიპოვი, ჩავიდნენ ანტარქტიკაში. მათ უკან მოიტოვეს ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და დაჯდნენ ანტარქტიდის მატერიკზე, ამერიკის ანტარქტიკული სადგურის მაკ-მერდოს აეროდრომზე, რომელიც მდებარეობს როსის კუნძულზე 78-ე სამხრეთ პარალელთან. მოსკოვიდან გაფრენილია 22.693 კილომეტრი, მთელი გზა შეადგენს 26.428 კილომეტრს.

საკდესის კორესპონდენტი ბ. ლუკიანოვი შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსს ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ე. ფ. ლოგინოვს და სთხოვა ეამბნა საბჭოთა მფრინავების მიერ განვლილი გზის უკანასკნელი უბნის შესახებ.

შემდეგ ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკმა ე. ფ. ლოგინოვმა უპასუხა საკდესის კორესპონდენტის მთელ რიგ კითხვებზე. ქვემოთ ქვეყნდება ეს კითხვები და პასუხი.

როგორ აფასებთ გადაფრენას საბჭოთა საჰაერო ფლოტის განვითარების თვალსაზრისით?

ჩვენ, თვითმფრინავების გადაფრენამ ანტარქტიკაში დაადასტურა, რომ საბჭოთა თვითმფრინავებს შეუძლიათ გაიარონ უდიდესი მანძილი. მან ცხადყო, რომ ფრენა შეიძლება უფრო დიდი საფრენო წონით, ვიდრე „ილ-18“ და „ან-10“ დაფრინავენ ამჟამად. ეს საშუალებას მოგვცემს ... საშუალედო დაშვებას, კერძოდ შინაგან ბაზებზე.

როგორი იყო მატერიალური ნაწილის მუშაობის თავისებურებანი მოსკოვ-ანტარქტიკის გადაფრენის დროს?

მთელ გზაზე რაიმე თავისებურება არ ყოფილა, რადგან საბჭოთა კავშირში არის სულ სხვადასხვაგვარი კლიმატური პირობები. ამ პირობებმა საშუალება მოგვცა თვითმფრინავები ვამუშაოთ ყოველგვარი ამინდის პირობებში როგორც მაღალი, ისე დაბალი ტემპერატურის დროს.

რა შეიძლება ითქვას თვითმფრინავთა ეკიპაჟებზე?

მფრინავების პოლიაკოვისა და ოსიპოვის ეკიპაჟები ძალიან გამოცდილი არიან. მათ გავლილი აქვთ მრავალი მილიონი კილომეტრი ჩრდილოეთ და პოლარულ განედებში. ყინვები და ქარი ვერ შეუშლის მათ ხელს.

არიან თუ არა სამოქალაქო საჰაერო ფლოტში სხვა მფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ასეთი ან კიდევ უფრო შორი გადაფრენები?

ჩვენ გვყავს ასობით მფრინავი, ზტურმანი, მექანიკოსი, რომლებმაც მილიონობით კილომეტრი იფრინეს მანქანებით „ილ-18“ და „ან-10“. მათ აქვთ ლაბილი ტემპერატურისა და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენის გამოცდილება. შემიძლია მტკიცედ ვთქვა, რომ მათი დიდი უმრავლესობა შეძლებს გადაფრას ანტარქტიდაში ფრენის ამოცანა.

როგორ ხორციელდებოდა გადაფრენის ხელმძღვანელობა?

უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებდა „ილ-18“ თვითმფრინავში მყოფი სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პოლარული ავიაციის უფროსი მ. ი. შეველიოვი. ეს არის გამოცდილი პოლარელი, რომელმაც მშვენივრად იცის დაბალი ტემპერატურის დროს ფრენის პირობები, არქტიკულად ერკვევა ამინდში. ასეთი თვისებები უზრუნველყოფდნენ გზაში წამოჭრილი ყველა საკითხის სწორად გადაწყვეტას. სამოქალაქო საჰაერო ფლოტში განუწყვეტლივ მუშაობდა ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახური. თავდაპირველად რადიოკავშირი პაერში მყოფ თვითმფრინავებთან ხორციელდებოდა უშუალოდ მოსკოვიდან, ხოლო შემდეგ მირნის მეშვეობით.

როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა რეგულარული საჰაერო რეისების ორგანიზაცია ანტარქტიკაზე მირნის საბჭოთა საელჩოსა და სადგურთან კავშირისათვის?

„ილ-18“ და „ან-10“ თვითმფრინავების ფრენა ეპიზოდურ ფრენას მიეკუთვნება. იგი ანტარქტიკაში დიდი სამეცნიერო მუშაობის შესრულების მიზნით განახორციელეს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა რამდენიმე თვის განმავლობაში. „ილ-18“ მოსკოვს დაბრუნდა, ხოლო „ან-10“ ჯერ კიდევ ერთხანს ანტარქტიკაში დარჩება, შეასრულებს სხვადასხვა დავალებას. ანტარქტიკასთან რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესაძლებლობის საკითხი ჯერ კიდევ შესწავლილი იქნება. მხოლოდ დეტალური შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამომწურავი პასუხის გაცემა.

დასასრულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის უფროსმა ე. ფ. ლოგინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ილ-18“ და „ან-10“ თვითმფრინავების ეკიპაჟები, სამოქალაქო ავიაციის მთელი პირადი შემადგენლობა ამაყობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით, რომ დაამყარონ საჰაერო ხიდი ევროპასა და ანტარქტიკას შორის, მოსკოვსა და მირნის შორის. (საკდესი).

ალფრთოვანებული შეხვედრა

ვაშინგტონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). 150 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა დღეს სალამოს მადრასში სამოქალაქო დარბაზობაზე აქ მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად. დარბაზობა მოაწყო ქალაქის მუნიციპალურმა კორპორაციამ. მადრასის მცხოვრებნი ტაშის გრიალით მიესალმნენ ლ. ი. ბრეჟნევსა და მის თანმხლებ პირებს. ლ. ი. ბრეჟნევი, მადრასის შტატის მთავარი მინისტრი ჯ. კამარაჯი, ქალაქის მერი გ. კუჩილარი და სხვები ადიან ტრიბუნაზე. „ნამასკარამ“ — მიესალმება ლ. ი. ბრეჟნევი შეკრებილთ და კვლავ ტაშის გრიალი გაისმის. შემდეგ ქალაქ მადრასის მერმა კუჩილარმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა მადრასის მცხოვრებთა მისასალმებელი ადრესი.

ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელსაც ხშირად აწყვეტინებდნენ ხანგრძლივი ტაშით.

„ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, — თქვა მან, — არც ისე ბევრი წელი გავიდა. მაგრამ უკვე სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა ინდოეთი იყო ქვეყანა, რომლის სიმდიდრეს კოლონიზატორები ითვისებდნენ. დღევანდელი ინდოეთი ის ქვეყანაა, რომელიც მიდის ეროვნული ეკონომიკის შექმნის გზით, ეუფლება თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, აუმჯობესებს სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას“.

„ჩვენ დიდ კმაყოფილებას განვიცდით იმის გამო, —განაგრძობს ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ ინდოელი ხალხი დიდად აფასებს ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობას ჩვენს ორ ქვეყანას შორის და იმ დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ინდოეთს ეროვნული მრეწველობის მშენებლობის საქმეში“.

ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებებს თავისი არსებობის წლებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXII ყრილობაზე მიღებული პროგრამის განხორციელება „ნიშნავს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმაგალითო აღმავლობას. ეს უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხისათვის მსოფლიოში ყველაზე მაღალ ცხოვრების დონეს. ყველა სიძნელე და გაჭირვება, რომლებიც ჩვენმა ხალხმა განიცადა თავისი დიადი საქმისათვის, ასკეცად ანაზღაურდება.

ამ ისტორიული გადწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი დიდი აღმავლობით შეუდგა დასახული გეგმების განხორციელებას.

ამ გრანდიოზული ამოცანების შესახრულებლად ჩვენ გვესაჭიროება უწინარეს ყოვლისა მშვიდობა“.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყანასთან ერთად ილაშქრებენ კოლონიალიზმის წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა გამოიხატებოდეს იგი, თქვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა.

მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხი და მთავრობა დღეს მთელი სულით და გულით თქვენთან არიან, როცა თქვენ ხარობთ გოას, დამანისა და დიუს განთავისუფლებით პორტუგალიელ კოლონიზატორთა ბატონობისაგან. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერდა მხარს ინდოეთის მთავრობის მტკიცე მოქმედებას თავის ტერიტორიაზე კოლონიალიზმის კერების ლიკვიდაციისათვის.

საყოველთაო მშვიდობისა და ყველა ხალხის ეროვნული თავისუფლების დაცვა საქმის გამარჯვებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა თავისი სიტყვის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს და პირველ რიგში სოციალისტური სახელმწიფოებისა და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი ქვეყნების მთელი მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ძალების შეკავშირებასა და ერთიანობას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა აღფრთოვანებული შეხვედრა მადრასის მცხოვრებლებთან დამთავრდა.

დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი გაეცნო მადრასის რაიონში ინდური არქიტექტურის ძველ ძეგლებს.

ხვალ დილით ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები ჯაიპურში გაფრინდებიან.

ნერუს გამოსვლა

დელი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე ბოლპურში და განაცხადა, რომ მას აოცებს, რომ ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, გულისწყრომა გამოთქვეს. და შეურაცხყოფელი სიტყვები იხმარეს ინდოეთის წინაღმდეგ გოას განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

გოას განთავისუფლებით, აღნიშნა ნერუმ, ინდოეთის დამოუკიდებლობა სრული გახდა. ინდოეთის ყველა მცხოვრებმა, მათი პარტიული კუთვნილებისა და შეხედულებათა მიუხედავად, სიხარული გამოთქვა ამ ამბის გამო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არც ერთ მოვლენას არ გაუხარებია ისე მთელი ხალხი, როგორც გოას განთავისუფლება.

ინდოეთი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გადაეჭრა გოას პრობლემა მშვიდობიანი გზით, განაგრძო ნერუმ. როცა ინდოეთმა დამოუკიდებლობას მიაღწია, მის ტერიტორიაზე კიდევ რჩებოდა უცხოელთა ზოგიერთი სამფლობელო. ხანგრძლივი მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთი დათანხმდა გადაეცა ინდოეთისათვის თავისი კოლონიური სამფლობელოები. ინდოეთი ფიქრობდა, რომ პორტუგალიაც გონივრულად მიიჩნევდა ასეთ ნაბიჯს და ასევე მოიქცეოდა. იგი, სამწუხაროდ, ასე არ მოიქცა. გოა, თქვა შემდეგ ნერუმ, ციბოს სიმსივნე იყო ინდოეთის სხეულზე, და იგი მოიკვეთა.

ჩომგეს სამხედრო დახმარებას უწევენ

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). სარგებლობს რა შესვენებით, რომელიც მოჰყვა კატანგაში ცეცლის შეწყვეტას და კატონის შეთანხმებას, მარიონეტი „პრეზიდენტი“ ჩომბე ინგლისელ კოლონიზატორთა დახმარებით სასწრაფოდ ზრდის თავის სამხედრო ძალებს.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო იუწყება, 48 ჯიპი, რომლებიც შეიარაღებულია საშუალო კალიბრის ტყვიამფრქვევებით და რომლებსაც ევროპელი დაქირავებულები მართავენ, ჯგუფ-ჯგუფად — 3-4 მანქანა — მივიდნენ ამ დღეებში საზღვართან როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციასა და კონგოს შორის. როდეზიელმა ხელისუფლებმა ნება დართეს მათ გადასულიყვნენ საზღვარს და შესულიყვნენ კატანგის ტერიტორიაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ამ ცნობასთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის შესარულებელმა უ. ტანმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ინგლისის მთავრობას.

მაკმილანისა და ადენაუერის მომავალი მოლაპარაკები

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1962 წლის 9 იანვარს ბონში გაიმართება ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ადენაუერის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები.

მუსკოვი—ანტარქტიკა

საუბარი სამოქალაქო საჰაერო ფლოტის უფროსთან ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ე. ფ. ლოგინოვთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერუს ბელმძღვანელობა

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ეროვნული უშიშროების მინისტრმა, ინდოეთის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ნასუტიონმა დღეს უბრძანა ჯარებს ყოველ მომენტში იყოს მზად, რათა დაიწყოს დასავლეთ ირიანის გათავისუფლება ჰოლანდიელი კოლონიზატორებისაგან. ეს ბრძანება, როგორც რეიტერის საგაზეთო იუწყება, ნასუტიონმა გამოაქვეყნა ჯაკარტის გარნიზონის ჯარების პარადზე.



დამნაშავე ჰოიზინგერის საქმეს შეიძლება დაერთოს კიდევ ორი ნივთიერი მტკიცება — აი ეს ფოტოსურათები. დახედე მათ, მკითხველო. ყოფილი ჰიტლერელი გენერლის ჰოიზინგერის ბრძანებით ასეთ მხეცობას სჩადიოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე ფაშისტი ჯალათები.

მუნდირიანმა სადისტებმა სასიკვდილოდ განწირული ადამიანები აიძულეს თვითონ გაეთხარათ თავიანთი სამარე (სურათი ზემოთ), გორაკზე კი, ბადრაგით გარშემორტყმული, სიკვდილს ელის ჩვენი ადამიანების დიდი ჯგუფი.

ქვემოთ მეორე შემაძრწუნებელი სურათია, როსტოვის ოლქის სადგურ ზიმოვნიკში ჩვენმა ნაწილებმა აღმოაჩინეს ოკუპანტების მიერ წამებით მოკლული საბჭოთა მეომრებისა და მეთაურების 46 გვამი. საბჭოთა არმიის მეომრები მხეცურად დახოცეს ფაშისტებმა ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებმაც შემუშავებული იყო ჰიტლერულ გენერალურ შტაბში.

დღეს მტარვალი და კაციხმკვლელი ჰოიზინგერი „დიდი ბობოლა“ ბრძანდება ნატოში და მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეა. ჩანს, დასავლეთში ზოგი ვინმესათვის ეს ხელსაყრელია. მაგრამ ყველა პატიოსანი ადამიანი მოითხოვს ჰოიზინგერის სასტიკად დასჯას. ჰოიზინგერის ხელები მილიონობით ადამიანის სისხლშია მოსვრილი. ჩვენ არაფერი არ დაგვიწყებია. დაე იცოდეს ფაშისტმა ჯალათმა: იგი ვერ გაექცევა საკადრის სასჯელს თავის ბოროტმოქმედებათათვის!

კოლონიზატორთა ფეხქვეშ მიწა იწვის

ჯაკარტა, 24 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ ირიანის ხალხი არასოდეს არ ცნობს პაპუას მარიონეტულ სახელმწიფოს, რომელსაც ჰოლანდიელები ქმნიან, მისთვის არ არის მეტი ავტორიტეტი, ვიდრე ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა, არ არის მეტი ბედნიერება, ვიდრე იცხოვროს ინდონეზიის მთელ თავისუფალ ხალხთან ერთად, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს დასავლეთ ირიანის მებრძოლ აჯანყებულთა ხელმძღვანელმა ინდონეზიის თავდაცვის ეროვნული კომიტეტის წევრმა დიმარამ.

თავისუფალი ინდონეზიის ტერიტორიაზე სეპარატისტულ დამოუკიდებელი „სახელმწიფოს“ შექმნა ძველი და ყველა კოლონიზატორისათვის საერთო ხერხია „გათიშე და იბატონე“. ამის მკაფიო მაგალითია კონგო.

იმისათვის, რომ შექმნან შთაბეჭდილება, რომ დასავლეთ ირიანის ხალხი ისწრაფვის გამოეყოს თავის დედა სამშობლოს, ჰოლანდიელები იარაღის ძალით აიძულებენ ხალხს ხელი მოაწეროს მათთვის სასურველ დეკლარაციებსა და დოკუმენტებს. მე თვითონ ვიყავი ისეთი შემთხვევების მოწმე, როცა ჰოლანდიელი ჯარისკაცები ერთი ხელით აძლევდნენ კალამს დასავლეთ ირიანელებს დეკლარაციის ხელმოსაწერად, ხოლო მეორე ხელით უმიზნებდნენ იარაღს.

ასეთია პაპუას სახელმწიფოს შექმნის პროცედურა.

გმირი პარტიზანი დიმარა, რომელიც ორჯერ დაიჭრა ჰოლანდიელების წინააღმდეგ ბრძოლებში თავისი მშობლიური მიწა-წყლის დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბერში მოძრაობა დასავლეთ ირიანში დღითიდღე ფართოვდება. მთელ დასავლეთ ირიანში არ არის ისეთი რაიონი, სადაც არ იყვნენ ჩვენი აჯანყებულები თქვა მან. დასავლეთ ირიანში განუწყვეტლივ ხდება შეიარაღებული შეტაკებები ჯუნგლებში, ჰოლანდიელ ქვეგანყოფებთან, ხოლო ქალაქებში ხშირად პოულობენ კოლონიზატორთა ბატონობისაგან.

ინდონეზიელ ფაშისტთა მეთოდით — ხოცავენ იმათ ოჯახებს, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის, არ ინდობენ პატარა ბავშვებსა და ქალებს. მეორე მხრივ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი მართვა-გამგეობა ისინი ეწევიან ფეოდალურ წარჩინებული პირების მოსყიდვას, აღვივებენ შეღლს ცალკეულ ტომებსა და სოფლებს შორის. ამიტომ ჩვენ, დასავლეთ ირიანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს, უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია შეეკავშიროთ და მოვამზადოთ დასავლეთ ირიანის ხალხი გადამწყვეტი ორგანიზაციული შეტაკებისათვის კოლონიზატორებთან. ახლა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლების ჩვენს ორგანიზაციას განყოფილებები აქვს დასავლეთ ირიანის ყველა კუთხეში. მათი ამოცანაა შეაკავშირონ და ერთ მთლიანობად გააერთიანონ დაქსაქსული პარტიზანული ჯგუფები და ინდონეზიის მთელ ხალხთან ერთად ებრძოლონ სუკარნოს ბრძანებით წაიყვანონ ისინი გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში კვლავ გაისმის ხმები, რომლებიც მოუწოდებენ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მოაწყონ კუბის წინააღმდეგ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, წარმომადგენელთა პალატის წევრმა სამხრეთ კაროლინის შტატისაგან დემოკრატმა მენდელ რივერსმა გუშინ განაცხადა, რომ იმ პირებს, ვინც გეგმავს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, „შეუძლიათ ყოველგვარი გამართლება გამონახონ“ კუბაზე თავდასხ

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავისათვის

1962 წლის იანვრის შუა რიცხვებში ქართველი ხალხი აღნიშნავს გამოჩენილი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ წერილს, რომელიც ლაგოდეხის რაიონულ გაზეთში („გრძოლა თავგადასავლისათვის") დაიბეჭდა 1936 წელს.

ლაგოდეხის კოლმეურნეებს

□ □

...თქვენ ჩემი რომანი „არსენა მარაბდელი" წაგიკითხავთ, კოლექტიურად გაგირჩევიათ და დაგიდგენიათ ეს წიგნი თქვენი რაიონის ყველა კოლმეურნემ წაიკითხოს. გარდა ამისა, თქვენ თურმე ჩემი ნახვა და ჩემთან საუბრის გამართვა მოგისურვებიათ. მეც ძლიერ მოსურნე ვარ პირადად გესაუბროთ, თქვენი ცხოვრება გავიცნო და საკუთარი თვალით დავათვალიერო თქვენი სანიმუშო კოლმეურნეობანი.

ჩემი წიგნის მასიურმა წაკითხვამ, რასაკვირველია, ძლიერ გამახარა ჩანს, რომ ჩემი „არსენა" მშრომელი ხალხის გულს მისწვდომია. მაშ შვიდიოდე წლის ნაშრომს ტყუილად არ ჩაუვლია. მწერლობის დანიშნულება სწორედ ეს არის: მწერალი და ხალხი ერთმანეთს უნდა შეედუღნენ, რათა ხელიხელ ჩართულმა იარონ და იმუშაონ იმ დიდი მიზნის მისაღწევად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაგვისახა.

მეც თქვენისთანა გლეხი ვარ და სოფლად დიდხანს მიცხოვრია. უწინ ზოგ სოფელში ერთი გაზეთიც არ მიდიოდა, გლეხი მას არ კითხულობდა, ვინაიდან წერა-კითხვის მცოდნე გლეხი იშვიათი იყო და, გარდა ამისა, მას ამისათვის არ ეცალა. ახლა კი გაზეთსაც კითხულობთ და წიგნებსაც. წერა-კითხვის უცოდინარი სანთლით საძებნელი გახდა. უწინ „არსენას" ოდენა წიგნი 1.000 ცალიც ძლივს გაიყიდებოდა, ახლა კი 25 ათასი დაიბეჭდა და ისიც არ გყოფნით. მას აქეთ, რაც ქართული სტამბა დაარსდა, 300 წელიწადზე მეტი გავიდა. ხოლო უკანასკნელ 15 წელიწადში ორჯერ უფრო მეტი წიგნი დაიბეჭდა, ვიდრე უწინ 300 წელიწადში დაბეჭდილა. ეს ნამდვილი სასწაულია. ამისი მსგავსი ამბავი საბჭოთა ხელისუფლების დროს ბევრი მომხდარა და ბევრი მოხდება.

მ. ჯავახიშვილი (1910 წ.).

თურმე ზოგიერთი იმ გარემოებას შეუწუხებია, რომ არსენა უფრო მედგარი, მკაცრი და დაუნდობარი არ გამოვიყვანე. ასეთი აზრი ბევრგან მსმენია. ამბობენ, არსენას თრიალეთის ქედზე კუჭატნელი არ უნდა დაენდო და იქვე უნდა მოეკლაო. არსენა რომ ქალაქს მიადგა, არ უნდა შერყეულიყო, იერიშით უნდა მისულიყო და ქალაქი აეღოო. ვერ დაგეთანხმებით. არსენა ამნაირად არ უნდა მოქცეულიყო.

რატომ? იმიტომ, რომ ჩემი რომანი ისტორიული რომანია, ხოლო არსენა, სევასტი, კუჭატნელი და ზოგი სხვაც ისტორიული პირები არიან, ესე იგი: ისინი ნამდვილად არსებობდნენ და მათ თავიანთი თავგადასავალი ჰქონდათ, რომელიც სხვადასხვა მწერლებს აუწერიათ და აქამდის ხალხშიც ცოცხალია. მე ადვილად შემეძლო ამისათვის ანგარიში არ გამეწია და ნამდვილი ამბები ჩემებურად დამეტრიალებინა. მაგრამ მაშინ ყველა მეტყოდა: ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმ დროს გლეხებს ქალაქი არ აუღიათ, ისიც ვიცით, რომ არსენამ კი არ მოკლა კუჭატნელი, არამედ კუჭატნელმა მოკლა არსენა, და სინამდვილეს რათ ამახინჯებო. მათი საყვედური სამართლიანი იქნებოდა.

გარდა ამისა, სინამდვილეში არსენას არავინაც არ მოუკლავს. მე შემეძლო ამისათვის ანგარიში არ გამეწია და არსენასთვის ავი თავადი და მოხელე წიწილებივით დამეხოცინებინა. მაგრამ — ჯერ ერთი — ესეც სინამდვილის დამახინჯება იქნებოდა. მეორე: არსენას რომ ხალხი ეხოცნა, სევასტის და იმის მიმდევრებს რაღა უნდა ექნათ? ყველას რომ სისხლი ეღვარა და ყველას რომ მკაცრი ხასიათი ჰქონოდა, მაშინ ყველა მებრძოლნი ერთმანეთს დაემგვანებოდნენ, ტიპები აღარ გამოვიდოდა და ჩემი რომანი უფეხელად წააგებდა. მე კი იმ აზრისა ვარ, რომ მწერალმა თავდაპირველად ტიპები უნდა ჩამოასხას, ესე იგი ყველა გმირს საკუთარი ხასიათი უნდა ემჩნეოდეს და არც ერთი მათგანი მეორეს და მესამეს არ უნდა ჰგავდეს. მეც ამიტომ შევეცადე, რომ არსენა, სევასტი, დალი ჰასანი, კარპიჩა და სხვებიც ერთმანეთს არა ჰგვანებოდნენ და თავდაპირველად ორ ჯგუფად დავყავი: არსენა ლმობიერი რაინდია, სევასტი კი უფრო მტკიცეა, გულმაგარი, შეუპოვარი და დაუნდობარი. მე შემეძლო პირუკუღმა მოვქცეულიყავი. ეს არაფერსაც არ შეცვლიდა. ზოგს არსენა მოსწონს, ზოგს კი სევასტი.

მართალია, არსენა უფრო წინ წამოვწიე, ვინაიდან ის უკვე დამკვიდრებული საყვარელი გმირი იყო ხალხისა, სამაგიეროდ სევასტიმ ვაჟკაცურად შეაკლა თავი თავის საქმეს, არსენა კი რაინდულმა ცუღლუტობამ შეიწირა. გაიხსენეთ აწერილობა მათი სიკვდილისა. არსენას სიკვდილი უაზროა, უმიზნო, შემოხვევითი, თითქმის ქარაფშუტული, ესე იგი მისი რაინდობაც უალაგოა და დასაძრახისი. დღევანდელი ვაჟკაცი არც ამნაირად ივაჟკაცებს და არც არსენასავით მოკვდება.

„არსენა მარაბდელზე" კიდევ ბევრი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ დრო არა მრჩება და ესეც ვიკმაროთ. დანარჩენი სხვა დროსთვის შევინახოთ.

ამას წინათ საქართველოს დელეგაციამ კრემლს ჩვენი საერთო მიღწევანი გაუზიარა. მეც შემისრულდა ნატვრა... ალბათ ეს ამბავი უკვე გიამბეს და მე აღარ გავიმეორებ. იმას კი ვიტყვი, რომ ჩვენ მიერ მიღებული ორდენები მშრომელი ხალხის წყალობით გვიბოძეს და ამიტომ ეს საპატიო ჯილდო თქვენს საკუთრებასაც შეადგენს. მაგრამ ჯილდოს და ნდობას ვალდებულებაც მოსდევს, ამიტომ ყველანი მოვალე ვხდებით უწინდელზე უფრო ბეჯითად ვიმუშაოთ, ჩვენივე თავს გავუსწროთ, ერთმანეთს ვაჯობოთ და ამრიგად მაძღარი და კულტურული სოციალიზმი სავსებით გავახორციელოთ.

ყველას თქვენთაგანს ცალცალკე ვარომევ შორიდან ხელს — პატიოსანი შრომით დაკოჟიებულ ხელებს.

თქვენი ერთგული მეგობარი

მიხეილ ჯავახიშვილი.

1936 წ. 11 აპრილი, თბილისი.

ახალი წიგნები

ვ. შალამბერიძე — ქართული მართლწერა. სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა". რედაქტორი ივ. გიგინეიშვილი. გვ. 229. ტირაჟი 5.000. ფასი 23 კაპ.

ი. ხმალაძე — გამწვანების საფუძვლები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. რედაქტორი ნ. კეცხოველი. გვ. 277. ტირაჟი — 5.000.

ვ. ქუმსიშვილი — მატყლეცოდნეობა. გამომცემლობა „ცოდნა". რედაქტორი პროფ. ბ. რჩეულიშვილი. გვ. 201. ტირაჟი 1.000. ფასი 41 კაპ.

ქან ეფელი — სიცილის ოსტატი

მხატვარი თავად არ ჩამოსულა ჩვენს დედაქალაქში... ეს გამოფენა, რომელიც 24 დეკემბერს გაიხსნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ჯერ მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა დაათვალიერეს, თბილისელების შემდეგ კი რიგელები ნახავენ.

ფრანგ მხატვარ-კარიკატურისტს ჟან ეფელს დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ. მან ხელახლა „შექმნა" სამყაროც, ადამიანიც, ცხოველიც და მცენარეც. ბევრი ჩვენგანის სათქმელი თქვა და გულიანადაც გვაცინა. ეფელი ხომ სიცილის უბადლო ოსტატია!

გამოფენა გახსნა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 500 ნამუშევარი. თბილისელები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ორ დარბაზში ეფელის ცნობილი „კარიკატურული დაბადების" გარდა ნახავენ მხატვრის ნაკლებად ცნობილ სერიებსაც, რომლებიც რამდენიმე რკალს შეადგენენ: „რეპორტაჟს რომიდან", „როცა ცხოველებიც ლაპარაკობდნენ", ილუსტრაციებს ლაფონტენის იგავარაკებისათვის, სახელდახელო ჩანახატებს ტელევიზორის წინ, მულტიპლიკაციური ფილმის „მაცივრის რეკლამის" პერსონაჟებს...

საქართველოს სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ, რომელიც გამოფენის დასათვალიერებლად მოვიდა, ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ჟან ეფელის ამ ნამუშევრების თბილისში გამოფენა უაღრესად სახიათო მოვლენაა. თბილისელებს საშუალება ეძლევათ თავიანთი თვალით ნახონ შესანიშნავი ფრანგი კარიკატურისტის მრავალი ნამუშევარი.

რით იქცევს ეფელი ჩვენს ყურადღებას? როგორ ახერხებს იგი, თავისი ხამშობლოს გარეთაც გასაგები და მხიარული რომ რჩება? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი თავისი დროის ნამდვილი შვილია, რომელსაც მთელი გულით უყვარს ადამიანი და იბრძვის ამ ადამიანის ბედნიერებისათვის.

ეფელის ნახატი უაღრესად სადაა, მაგრამ სხარტი და მებრძოლია.

ამის დამადასტურებელია მთელი ეს გამოფენა. ეფელის ძალა მძაფრ მხატვრულ მიგნებაშია, რომელსაც შესაბამისი მხატვრული ფორმით გამაკეთილშობილებელ, ჯანსაღ სიცილად აქცევს.

კარგი იქნება, თუ თბილისელები უან ეფელის ამ შესანიშნავი გამოფენის შემდეგ დანიელი ბიდსტრუპისა და პოლონელი ლენგრენის გამოფენებსაც ვნახავთ.



სურათებზე: ზემოთ — აკადემიკოსი შ. ამირანაშვილ (შუაში), საქართველოს სახალხო მხატვრები ლ. გუდიაშვილი (მარჯვნივ) და უ. ჯაფარიძე ეფელის გამოფენაზე. მარცხნივ — ჟან ეფელი; მარჯვნივ ზვიდან — ეფელის კარიკატურები: „ოპერაცია „ეგო", — „უყურე ერთი, თავს გვაწონებს"; პოლიტიკური კარიკატურა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

თბილისში გამოფენის გახსნის გამო

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

საფეხბურთო მოედნებზე უკვე დიდი ხანია მიწყნარდა ცხარე ბრძოლები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით ამოიწურა ყველაფერი. სწორედ ახლა, ამ ერთგვარად შესვენების პერიოდში მიმდინარეობს მზადება მომავალი სეზონისათვის, დიდი ფეხბურთისათვის, ჩილის დუელისათვის.

მართალია, მსოფლიო პირველობის ფინალისტები ჯერ კიდევ არ გაუნაწილებიათ ქვეჯგუფებში, მაგრამ უცხოეთის გაზეთებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ფიფას კულუარებში ეს საკითხი უკვე გადაწყდა. ამ ცნობებით სსრ კავშირის ნაკრები ჩილის, კოლუმბიისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად შედის მეორე ქვეჯგუფში და ისინი ერთმანეთს შეეცილებიან სანტ-იაგოში.

არა ნაკლებ საინტერესოა სიაბლენი ჩვენი ქვეყნის 1962 წლის პირველობისა და თასის გათამაშებებში. ამ საკითხებზე იმსჯელეს საკავშირო ფეხბურთის ფედერაციაში და შეიმუშავეს გათამაშების დებულება.

ისევე როგორც მიმდინარე წელს, მომავალ სეზონშიც „ა" კლასში იბრძოლებს ფეხბურთელთა 22 კოლექტივი, რომლებიც გაყოფილია ორ ქვეჯგუფად.

პირველ ქვეჯგუფში შევიდნენ — კიევის „დინამოს", არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის (ცსკა), მოსკოვის „ლოკომოტივის", ერევნის „სპარტაკის", დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის, დონეცკის „შახტიორის", ლენინგრადის „ზენიტის", კიშინიოვის „მოლდოვას", ალმა-ატის „კაირატის", ვილნიუსის „სპარტაკის" და რიგის „დაუგავას" გუნდები.

მეორე ქვეჯგუფში არიან — მოსკოვის „ტორპედოს", მოსკოვის „სპარტაკის", ხარკოვის „ავანგარდის", თბილისის „დინამოს", მოსკოვის „დინამოს", ტაშკენტის „პახტაკორის", ლენინგრადის „დინამოს", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის", ბაქოს „ნეფტიანიკის", მინსკის „ბელარუსისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდები.

ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდება საპრიზო ადგილები, იბრძოლებს ქვეჯგუფებში გამარჯვებული ექვსი-ექვსი გუნდი (სულ 12). გასული ჩემპიონატისაგან განსხვავებით აქ გუნდებს გადმოჰყვებათ მხოლოდ ის ქულები, რომლებიც მათ ქვეჯგუფებში მოიპოვეს იმ კოლექტივებთან შეხვედრებში, რომლებიც უძლიერესთა დასკვნითს ასპარეზობაში გამოდიან.

ჩემპიონატი მომავალი წლის 2 მაისიდან დაიწყება და რამდენიმე თვეს გაგრძელდება. შემცირებულია სსრ კავშირის თასის გათამაშების ხანგრძლივობა. ფინალი შედგება მოსკოვში ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. მომავალ სეზონში „ა" კლასს დასტოვებს უკანასკნელ სამ ადგილზე გამოსული გუნდი. მათ ადგილებს დაიკავებენ „ბ" კლასში გამარჯვებულები.

ფრენგურთის გადესთან

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო შესარჩევი შეჯიბრება ფრენბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ამ დღეს თბილისის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დაამარცხეს კიშინიოვისა და ბაქოს გუნდები თანაბარი ანგარიშით — 3 : 0.

რედაქტორის მოადგილე

ბ. თათარიშვილი.

გასული კვირა სპორტულ ტანვარჯიშში საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი დღე იყო. თბილისის სპორტის სასახლეში ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძოდნენ ტანმოვარჯიშე ვაჟები, რომლებიც ნებისმიერი პროგრამიდ გამოდიოდნენ.

ჩემპიონია ი. ტიტოვი

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

შეჯიბრების მსვლელობის მთელ მანძილზე ლიდერთა ჯგუფი — ი. ტიტოვი, ბ. შახლინი და ი. ცაპენკო, — თუ შეიძლება ასე ითქვას, „კონკურსგარეშე" მონაწილეობდა, რადგან მომდევნო სამეული მათ ქულათა საკმაოდ დიდი განსხვავებით ჩამორჩებოდა.

სამაგიეროდ სპორტულად საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა ბრძოლა როგორც პირველ სამეულში, ისე მეორეში.

შეჯიბრების დაწყების წინ მდგომარეობა ასეთი იყო: ი. ტიტოვი — (56.75 ქულა), ბ. შახლინი (56.7 ქულა), ი. ცაპენკო (56.6 ქულა), 56.0 ქულით მეოთხე და მეხუთე ადგილებს იყოფდნენ ნ. მაკალათია და ვ. ლეონტიევი, ი. მაკურინი (55.75 ქულა).

ასეთ დროს პროგნოზების მოყვარულთაც კი უჭირთ „წინასწარმეტყველება" და ძნელია იმის თქმა, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული. ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა თითქმის ყოველი იარაღის შემდეგ იცვლებოდა. მაგალითად, 8 იარაღზე ვარჯიშის შესრულების შემდეგ წინ იყო ალმაატელი ი. ცაპენკო, რომელიც ტაიეზე ყველაზე მაღალი შეფასება — 9.7 ქულა მიიღო და 0,05 ქულით უსწრებდა თავის მეტოქეებს. მაგრამ მან შედარებით სუსტად შეასრულა ბჯენით ხტომა, და ლიდერთა სათავეში მოექცა კიეველი ბ. შახლინი.

ლიდერთა ჯგუფში საბოლოო გარდატეხა მოხდა, როდესაც მონაწილენი თავისუფალი ვარჯიშის შესასრულებლად გამოიძახ ე ს. თითქმის უნაკლოდ, დახვეწილად შეასრულა ვარჯიში ი. ტიტოვმა, 9,7 ქულა დაიმსახურა და დაწინაურდა, ამის შემდეგ მან დიდი ოსტატობით ივარჯიშა დანარჩენ იარაღებზეც და 113,9 ქულით მოიპოვა სპორტულ ტანვარჯიშში ჩვენი ქვეყნის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი.

ვერცხლის მედლისათვის ბრძოლა გამწვავდა ბ. შახლინსა და ი. ცაპენკოს შორის. დარჩენილი იყო უკანასკნელი იარაღი — ღერძი. ქულათა განსხვავებაა 0,2. წინ არის ბ. შახლინი. პირველად ი. ცაპენკომ შეასრულა ვარჯიში და მიიღო შეფასება, რომელსაც არავინ არ მოელოდა — 8,8 ქულა. ტანვარჯიშში მოულოდნელობა არ არის გამორიცხული და შახლინსაც შეეძლო მიეღო დაბალი შეფასება. მაგრამ მოხდა პირიქით. გამოცდილმა ოსტატმა უდიდესი სიზუსტით შეასრულა რთული ვარჯიში და დაიმსახურა

სურათზე: ბ. შახლინი (მარცხნივ), ი. ტიტოვი და ი. ცაპენკო.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ჩემპიონატში ყველაზე მაღალი შეფასება — 9,9 ქულა და მასთან ერთად ვერცხლის მედალი. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ი. ცაპენკო.

მეორე სამეულს თავიდანვე მტკიცედ ედგა სათავეში თბილისელი სპორტსმენი ნ. მაკალათია, მაგრამ უკანასკნელ ორ იარაღზე შედარებით წარუმატებლად გამოვიდა და მისი ადგილი დაიკავა მეხუთე ადგილზე მყოფმა მოსკოველმა ვ. ლეონტიევმა. ნ. მაკალათიაზე წინ აღმოჩნდა აგრეთვე ხარკოველი ი. მაკურინი. მეექვსე ადგილი ასეთ დიდ შეჯიბრებაში ახალგაზრდა ნ. მაკალათიასათვის თვალსაჩინო წარმატებაა.

უძლიერესთა ათეულში მოხვდა აგრეთვე მეორე თბილისელი სპორტსმენი რ. კაკახიძე.

შეჯიბრების დასასრულს გაიმართა სპორტულ ტანვარჯიშში XXVIII საკავშირო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. გამარჯვებულებს ი. ტიტოვს, ბ. შახლინსა და ი. ცაპენკოს გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და დიპლომები.

თბილისის სასპორტო საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის მიერ დაწესებული პრიზი პირველ ათეულში გამარჯვებული ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისათვის გადაეცა 21 წლის ვ. ლეონტიევს.

დედაქალქის სხვადასხვა ორგანიზაციათა და საწარმო-დაწესებულებათა საჩუქრები გადაეცათ აგრეთვე ლ. ლატინინს, თ. ლიუხინას, თ. მანინას, ი. ტიტოვს, ბ. შახლინს, ი. ცაპენკოს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ვ. უშაკოვს, ი. შტუკმანს, ე. ანოხინს, ქართველ სპორტსმენებს მ. ნინოშვილს და ნ. მაკალათიას.

დიდი შეჯიბრება დამთავრდა. ალამი დაშვებულია.

* * *

ა რ ა, რ ე ც ე ნ ზ ი ა ა ს ე ა რ ი წ ე რ ე ბ ა

გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელს" მუდამ გულთბილი სიყვარული აკავშირებდა ფოთის სახელმწიფო თეატრის მუშაობასთან, ეხმაურებოდა თეატრის თვითეულ სპექტაკლს, ახარებდა ამ თეატრის წარმატებები, აღონებდა წარუმატებლობა. რეცენზიები, რომლებიც გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის". ფურცლებზე იბეჭდებოდა, გამოირჩეოდა უბრალოებით, ყველასთვის გასაგები ქართულით და შინაარსით.

და აი სრულიად მოულოდნელად გაზეთმა რამდენიმე უზარმაზარი „რეცენზიით" მრისხანედ შეუტია თეატრის ახალ სპექტაკლს. ავტორი ამ „ცეცხლის მფარველეველი" რეცენზიებისა გახლავთ ანზორ ტრაპაიძე, რომელიც მოეღინა ქალაქ ფოთს როგორც თეატრალური კრიტიკოსი.

კრიტიკოსმა ნახა პირველი სპექტაკლი, აღშფოთდა და გაზეთის თითქმის მთელ გვერდზე გადაქმიდლ რეცენზიაში ქარსა და ნიავს გაატანა როგორც პიესის დამდგმელი, ისე თეატრის მთელი კოლექტივი.

შემდეგ მან ნახა მეორე სპექტაკლი, კვლავ აღშფოთდა და კვლავ ძირფესვიანად „მოთხარა" როგორც პიესის ავტორი, ისე თეატრის მთელი კოლექტივი.

შემდეგ მან ნახა მესამე სპექტაკლი, და „თეატრმცოდნის" აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

შესაძლოა იმ სპექტაკლებს მართლაც ჰქონდეს ნაკლოვანებანი, მაგრამ ჩვენ ახლა გვინდა განვიხილოთ თვითონ რეცენზიები.

დავიხედოთ გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელში" მოთავსებულ რეცენზიას, რომელშიც „განხილულია" სპექტაკლი „დამნაშავე".

„გვაძახება, — კითხულობთ რეცენზიაში, ყველა თავისი მსახიობური მონაცემებით მისდევს ახალგაზრდა გმირის ცხოვრებას და ბევრგან მაყურებლის თვალში დამაჯერებლობის ხელშესახებამდის აღწევს".

რას ნიშნავს სიტყვები „დამაჯერებლობის ხელშესახებამდის აღწევს"?! ან სად მისდევს მსახიობი გმირის ცხოვრებას?..

„თუმცა, — განაგრძობს რეცენზიის ავტორი, — კარგი იქნება მსახიობი ამ სრულყოფილ განხრახვას შეუზავებდეს ქალ-მეტერას".

როგორ გაიგოს მკითხველმა ასეთი რჩევა. „სრულყოფილ განზრახვას შეუზავებდეს „ქალ-მეტერას". ესმის კი ავტორს რა ნიშნავს „ქალ-მატერა?".

„ქალაქური ყარგონის ფლობისა და ასეთ მძოლოთა ცხოვრების კარგი უნარი გამოამჟღავნა მსახიობმა მ. ბაიდარაშვილმა", — ვკითხულობთ რეცენზიაში.

რა ქართულია, რა აზრია ამ წინადადებაში? როგორ გამამჟღავნა მსახიობმა ცხოვრების კარგი უნარი? ალბათ რეცენზენტს სურდა ეთქვა ცხოვრების კარგი ცოდნა ან ცხოვრების ასახვის კარგი უნარი გამამჟღავნაო.

უფრო „ორიგინალურია" მეორე რეცენზია, რომლითაც ლაფშია ამოსვრილ ფოთის თეატრის მეორე დადგმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". „კრიტიკოსი" აღშფოთებული აცხადებს, რომ დამდგმელ-რეჟისორმა და თეატრის მთელმა კოლექტივმა ვერ გაიგეს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" ღრმა ფილოსოფიური აზრები და იდეები.

„მე, ბებია , ილიკო და ილარიონი" ისეთი ნაწარმოებია, — წერს კრიტიკოსი, — „რომელიც გატარებულია თითქმის მიუღწეველ ჯანსაღ იუმორში... შეუძლებელი იყო რეჟისორი არ გაეტაცნა ამ ნაწარმოებში შლეგ მდინარესავით მეუხარე პოეზიას".

ეს უკვე წმინდა წყალის ახლაბუდაა.

ზუროკელა, — გაანგრძობს კრიტიკოსი, — ისეთი ახალგაზრდა როდია, რომელიც თავის თავში აწყობს რეიდებს და ისე ყალიბდება, არამედ იგი მომავალია". რას ნიშნავს „თავის თავში რეიდის მოწყობა"? და თუ კი საერთოდ მოსახერხებელია რეიდის თავის თავში მოწყობა, პირველ ყოვლისა ეს საჭირო იყო გაეკეთებინა თვითონ რეცენზიის ავტორს.

შემდეგ განრისხებული რეცენზენტი კატეგორიულად ყეფენებს „კითხეს: „რატომ არ აქვს სპექტაკლში თავისი სრული ეღერადობა... ტარანის სცენებს?"

რა საშინელებაა! როგორ შეიძლება ტარანის სცენას არ ჰქონდეს სრული ეღერადობა! კრიტიკოსი ვერ მოითმენს რომ ტარანი არ ეღერდეს მთელი თავისი „სრული ეღერადობით". მით უმეტეს, რომ რეჟისორს ჩაუდენია კიდევ ერთი ყოვლად შეუწყნარებელი „დანაშაული". მოვუსმინოთ რეცენზენტს: „...დიდცხვირა ილარიონი ფილოსოფიურ განზოგადოებამდის მიდის", როცა ამბობს, რომ: „წისქვილის ორი ღარის შეერთება მეტ ძალას იძლევა", ხოლო „თუ წისქვილს წყალი არ ექნა, მაშინ ის ჰაერში გამოკიდებული ოთხი კედელია".

ეს უბრალო სიტყვები, რომლებიც, რეცენზენტის აზრით, შეიცავენ დიდ „ფილოსოფიურ განზოგადოებას", რეჟისორს ამოუღია. როგორ გაბედა!

„ასეთნაირად გახსნილ ბებიას აცოცხლებდა თუ არა ალბათ ზედმეტი იყო", — კითხულობთ რეცენზიაში. საინტერესოა, როგორ აქვს წარმოდგენილი რეცენზენტს „გახსნილი ბებია".

კიდევ ერთ უაზრობას ამოვწერთ და დავამთავრებთ, თორემ მთელი რეცენზიის გადაწერა დაგვჭირდება, მას კი გაზეთის ერთი გვერდი უჭირავს.

„მსახიობებს უხარიათ, — წერს ტრაპაიძე, — თანდათან სპექტაკლი კარგად მიდისო".

რა გულუბრყვილონი არიან ფოთის თეატრის მსახიობები! სულ ტყუილად უხარიათ მათ, რომ სპექტაკლი თანდათან უფრო კარგად მიდის.

თუ სპექტაკლი თანდათან უფრო კარგად მიდის, — „მით უარესი, — ამბობს კრიტიკოსი, — ის ხომ უფრო დღითიდღე, საათობით მეიდღეროდ ჯდება თავის მცდარ მიმართებაში".

საოცარია: თუ კი სპექტაკლი თანდათან იხვეწება და უფრო კარგად მიდის, რატომ უწდა ნიშნავდეს ეს „მცდარ მიმართებაში მეიდროდ ჩაჯდომას?".

კმარა... წერილი მგონი მკაცრი გამოვიდა. ანზორ ტრაპაიძე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის მსმენელი ყოფილა. ფოთში ჩასულა ადგილობრივ გაზეთში პრაქტიკის მისაღებად. აქ კი მას, საწუხაროდ, ერთგვარი დათვური სამსახური გაუწიეს, არათუ ვერ დაინახეს მისი თეორიული მომზადების ჯერ კიდევ დაბალი დონე, არამედ სტილიც ვერ გაუსწორეს. პირიქით, მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ.

დახუჭეს თვალები რედაქციის მუშაკებმა და მისცეს ხელში კეტი „კრიტიკოსს". მანაც მიიქნია აქა და აქა, წაღმა და უკუღმა. ხან რეჟისორს წაუთაქა ქეჩოში, ხან მსახიობებს მოუნაცალა გვერდებში, მაგრამ ვფიქრობთ ყველაზე მაგრად მაინც მოხვდათ თვით გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის" რედაქციის მუშაკებს.

სამწუხაროა,

გ. ლიაძე.

საჭადრაკო დუელი

საკავშირო საჭადრაკო გუნდური ჩემპიონატი სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

მეორე ტურში საერთო ინტერესს იწვევდა ორი ძლიერი კოლექტივის „ბურევესტნიკისა" და „ტრუდის" მატჩი. პირველი დამარცხება განიცადა მსოფლიოს ჩემპიონმა ე. ბიკოვამ. მან წააგო პარტია ლ. ვოლპერტთან.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა საერთაშორისო ოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა შესანიშნავად ჩაატარა პარტია მოსკოვის არაერთგზის ჩემპიონთან ა. კუშნირთან და მალე გაიმარჯვა.

ვ. სმისლოვისა და ვ. კორჩნოის პარტიაში გამარჯვება პირველს ხვდა. „ბურევესტნიკმა" შეხვედრა მოიგო ანგარიშით 7 : 3.

„დაუგავასა" და „სპარტაკის" მატჩი დამთავრდა ფრედ 5 : 5. „ავანგარდისა" და არმიელ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს „ავანგარდის" წარმომადგენლებმა 6,5 : 2,5. 1 პარტია გადადებულია.

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდა ლიდერი. ეს არის „ბურევესტნიკის" გუნდი, რომელსაც 12,5 ქულა აქვს.

ბაკურიანის სათხილამურო ტრასებზე

გასულ კვირადღეს ბაკურიანში გაიხსნა სათხილამურო სეზონი. ეს შეჯიბრება წარმოადგენს ერთ-ერთ მასობრივ ასპარეზობას, სადაც მეხუთეჯერ თამაშდება გაზეთ „ლელოს" პრიზი.

პირველ დღეს მოეწყო შეხვედრები სათხილამურო გადარბენებსა და სლალომში. ვაჟთა შორის 15 კილომეტრის გადარბენაში უძლიერესი იყო ნ. ტროფიმოვი („კოლმეურნე"). ხოლო ქალთა შორის 5 კილომეტრის გადარბენაში — კრუგლოვა („ბურევესტნიკი"). სლალომში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ი. ჯანგობეგოვმა („დინამო"), ქალთა შორის — ქ. ჯეირანაშვილმა („კოლმეურნე").

შეჯიბრება გრძელდება.

26 დეკემბერი

თეატრები: რუსთაველის სახელობის — რუდოლფ ერერი (როიალი). **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები, **გრიბოედოვის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული (1 აბონ. მე-5 წარმ.), **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ორი ცხოვრება" (I სერია), 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „საინტერესო შეხვედრების კლუბი", 18.25 — კინოჟურნალი, 18.35 — გადაცემა ცაკლიდან — „სკკპ პროგრამა მოქმედებაში", 18.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.35 — მშობლთა ტელეუნივერსიტეტი, 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — საესტრადო-სატელევიზიო მიმოხილვა „რაც ვთქვეთ, არ გვეთქვას", 20.50 — ახალი ამბები, 21.05 — მხატვრული ფილმი — „ორი ცხოვრება" (I სერია).

უე 04149

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.